



ଓଡ଼ିଆ ପର୍ଯ୍ୟନ୍ତ

ଯେହାନ୍ତିକିମ୍ବା ଏହାରୁ ପରିଚାରିତ ହେଲା ଏହାରୁ ପରିଚାରିତ ହେଲା ଏହାରୁ ପରିଚାରିତ ହେଲା

ମାଧ୍ୟମିକରୀ, 16 ଫୁଲୋସା。  
୪. ୩. ୨ ମାନ୍ଦରୀରେ — ସାନ୍ତ୍ରିଳାଙ୍ଗଳ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ ମାଧ୍ୟମିକରୀ  
୪. ୩. ୩ ଜୁର୍ବ୍ରାନ୍ତିକ ଗମନପତ୍ର ଏବଂ ଶୁଣିବାରେ — ପ୍ରାଣବୁଦ୍ଧିବ୍ୟାପିକ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ  
ପ୍ରମାଣିତ ହେଉଥିଲା।

მოჯედება პირველი

სურათი პირველი

ფალატრავის ორდენის მაგისტრის შინა ალმაგრაში.

გამოსახული 1

კომინდორი ფერნან გომეირა ფლორესი და ორტუნიო.

კომანდორი

მაგისტრს აცნობეთ ჩემი ჩამოსულა?  
იქნებ არ იცის, რომ კომინდორი  
მას ელოდება?

ფლორესი

იცის, ბატონო,  
მაგრამ მაგისტრი გერ ყმაწვილია  
და, ვით პატარებს სჩვევიათ ხოლმე,  
დიდყაცობს ცოტა.

კომანდორი

დიდი მაგისტრი  
მე, დონ ფერნანდო გომეირა და უზმანი,  
შესაძლო არი არ მცნობდეს, მაგრამ

კომანდორობას ჩემსას პატივი  
უნდა სცეს მიიწევ!

ფლორესი

ნუ გაიკვირვებთ,  
უმწოდებით მოსდის ნამდვილად!  
აკი გითხარით, ბავშვია-მეტქი!

ორტუნი

იქნება თქვენმა მოშურნებ ვინმემ  
ურჩია მაგისტრს, რომ სათანადო  
პატივისცემით არ დაგხვედროდათ?

კომანდორი

თუ ეს ასეა, თავის მომხრეებს  
ვერ შემოიკრებს დიდი მაგისტრი!

ფლორესი

არა მეონია, რომ ასე იყოს!  
მოხერხება და ცოდნა აქლია  
კაიკაცობის გამოსაჩენად!

კომანდორი

მოხერხებისა რა მოგახსნოთ;  
რაც შეეხება ზრდილობას, — იგი  
მაგისტრს მაშინვე უნდა ესწავლა,  
როდესც წელზე შეიბა ხმალ!  
დაახ, იმ დღიდან, როცა მის მკერდზე  
ლალით, ზურმუხტით მომზივებული  
გაბრწყინდა ჯვარი კალატრავისა!

ფლორესი

იქნებ შულლს აგლებს თქვენს შორის ვინმე?

ბაზობლა 2

იყვენი და კალატრავის მაგისტრი მალიორი.

მაგისტრი

გთხოვთ მაატიოთ, დონ ფერნან გომეცი!  
ეს წუთი არი შემატულბინებ  
თქვენი ჩამოსვლა!

კომანდორი

მაქეს საფუძველი  
ვეყო ნაწყენი! სიმართლე გითხრათ,  
მუკირს...

მაგისტრი

ო, არა! სულ არ ვალოდი  
თქვენი მობრძანება! ნება მომეცით,  
ვალა გეხვიოთ, როგორც მევობარს!

მხევა

კომანდორი

განა არა ვარ ღირსი? ვინ მოთვლის,  
თავი რამდენგრე გადამიღვია  
თქვენთვის და თქვენი მშობლებისათვის?

მაგისტრი

ვიცი, გეოაყვა, და ვფიცავ ამ ჯვარს,  
შეერდს რომ გვიძშვენებს ორიეს ახლა,  
ამაგს ისევე არ დაგივიწყებთ,  
როკორც მშობელს არ ივიწყებს შვილი!

კომანდორი

ახლა კი ცოტა მომეშვა ვულზე...  
კმაყოფილი ვარ, სენიორ!

### მაგისტრი

ომშე

თუ ისმის რამე?

### კომანდორი

ყველაფერს გიტყვით  
და რას გაისჩებთ მოვალეობა,  
მიხვდებით თვითონ.

### მაგისტრი

ბრძანეთ, მე გისმენთ.

### კომანდორი

თქვენ, დონ როდრიგო ტელეც ხიჭონი,  
დიდი მაგისტრი, ვისაც მაღალი  
ხარისხი თქვენი სახელგანთქმული  
მშობლის საბრძოლო დამსახურების  
და მამაცობის წყალობით გერვოთ,  
მცირეშილოვანი ბრძანდებით თუმცა,  
მოელს კალატრავის ორდენს განაგებთ!  
თქვენა ხართ ჩეენი ბატონ-პატრონი  
და, ვით მაგისტრი, ვალდებული ხართ  
ააფრიალოთ საბრძოლო დროშა  
კალატრავისა — ნეტარხესენებულ  
თქვენი მშობლების განსაღიერებლად  
და თქვენი ხალხის საყეთილდღეოდ..  
მე გვახელით, სენიორ, რომ ამ  
რთულ და არეულ კითარებაში,  
ოდეს მოსაზღვრე კასტილიაში  
ბეჭის და ტახტის მაძიებლები  
ეცილებიან უფლებას თქვენსას,  
გირჩიოთ: დღესცე, დაუყოვნებლოვ,  
აქ, ალმაგრაში, მოუნდოო ყველა  
კაბალერობს და შეუტიოთ  
სიუდად-რეალს — ანდალუზის  
და კასტილის საზღვარზე მდებარს!

შის ასალებად დიდი ლაშქარი  
არ დაგჭირდებათ! თქვენ, მართალია,  
ახალგაზრდა ხართ, გამოუცდელი  
მაგრამ ღრმ დადგა ყველას აჩვენოთ  
თქვენი ძალა და შეუპოვრობა  
და მოიყვნოთ გონის თავხელები,  
ვინც კატინიერად ამტკიცებს, თითქო  
ეგ მამათქვენის დანატოვარი  
მაგისტრის ჯვარი მეტად მძიმეა  
თქვენი კისრისმოვის!... ყრმით როდრივო!  
სახელოვანი მამა-პაპანი  
შემოგყურებენ საფლავებიდან  
და თქვენზე იმედს ამყარებს ყველა!  
მაში, ამოავეთ მსახურელი ხმალი,  
რომ მოელვარე მისი ფოლადი  
საომარ ველზე გწითლდეს ისე,  
როგორც ეგ ლალით მომძიებული  
ჯვარი, რომელიც გიბრწყინვათ მეტრზე!

### მაგისტრი

იმედი გეონდეთ, დონ ფერნან გომეც,  
მემკიდრეობის წმინდა უფლებას  
არვის დავუთმობ! ქარიშხალვით  
თავს დავატყუდები სიუდად-რეალს  
და ლვონის შეწევნით დავმორჩილებ!  
პო, მართლა... ბინა სადაა თქვენი?  
ვგონებ, ფუენტე ოვეხუნაში?

### კომანდორი

დიახ, იქა. ამ გაჭირვებულ,  
შეფოთიან დროში მასზე უკეთეს  
ადგილსამყოფელს ვერ ნახავს კაცი!  
ტყუილად კი არ დაარქვა ხალხმა  
— ცხვრის წყარო — მყუდრო სოფელი  
გახლავთ...

მაშ, ასე! უჩქრეთ კაბალეროებს,  
მეც ჯარისკაცებს შემოგაშველებთ  
და წინ, სიუდად-რეალისაკენ!

მაგისტრი  
დღესვე საბრძოლოდ გავეშურები!  
გადან.

#### სურათი მთხოვა

გამოსავალა 3

მოედანი ფურცელების მომანდორის სასახლის წინ-  
შემოდიან ლაურენსი და პასკვალი.

ლაურენსი  
ნეტავი მართლა მოცილდებოდეს  
აქაურობას!

პასკვალი  
მე კი მეგონა,  
შენ მისი წასვლა გულს დაგწივეტავდა!

ლაურენსი  
ნეტავ სულ გაწყდეს  
აქვეყნად მისი სახსენებელი!

პასკვალი  
ოჰ, კარგი ერთი! ბევრი ქალისგან  
გამოგონია ეგეთი წყველა,  
მაგრამ საქმე რომ საქმეზე მივა,  
როგორც სანთელი, ისე დნებიან  
კაცების ხელში!

#### ლაურენსი

მუხა გინახავს?  
მეც იმ ჭიშის ვარ — მოუღრექავი!

#### პასკვალი

წინასაზრი მაინც ვერავინ იტყვის:  
„ამ მდინარის წყალს მე არ დავლევო!“

#### ლაურენსი

რასაც აქ ვამბობ, სხვაგანაც ვიტყვი  
დაუფარავად, თუნდ ამის გამო  
მთელმა სოფელმა დამძრახოს... როგორ?!

შევიყვარო და — ვინ? კომანდორი?

გესმის, რას მიტჩევ? განა ის ცოლად  
შემირთავს?

#### პასკვალი

არა, ხომ არ გაგიცდი!

#### ლაურენსი

მაშ რა ვქნა? ფეხით გავათელინო  
ჩემი ქალობა? განა არ იცი,  
რამდენ ქალოშვილს, ვინც კი მის სიტყვებს  
დაუკერა და ენდო, საქვეყნოდ  
თავი მოსჭრა და მოუკლა გული?!

#### პასკვალი

ვითომ გვინია, გადაურჩები  
მის კლანჭებს? გვერა სასწაულისა?

#### ლაურენსი

სასწაულია თუ რაღაცაა,  
ორი თვეა, რაც ჩრდილივით დამდევს,  
მაგრამ ვერაფერს ვერ მიაღწია!  
იმ ორტუნიოს — იმ ბებერ მელას

და იმ ლაქუცა მაჭანკალს ფლორესს  
 არ მოჰქონდა საჩუქრად ჩემთვის,  
 თან ათასაირ სიტყვებს ხარჯავდნენ,  
 რომ ჩემი გული მოენადირათ,  
 მაგრამ ვერაფრით დამიყოლია:  
 „არ მომწონს-მეთქი თქვენ ბატონი!“  
 როცა დარწმუნდნენ, რომ ეშმაკობით  
 ვერ გახდებოდნენ ვერაფერს, მაშინ  
 დამემუქრნენ და, რაც იმათ მითხრეს  
 ჩვენს კომინდორზე, მე — ქალს კი არა,  
 გულად ვაჟა-ცაც შეაშინებდა!  
 მაგრამ მე წარბიც არ შემიჩრია!

პასკალა

სად ჰქონდათ შენთან ეგ საუბარი?

ლაურენსია

ქვევით, წყაროსთან. ექვსი დღის წინათ.

პასკალა

ფრთხილად იყავი, ლაურენსია,  
 არ წამოეგო ანკეს!

ლაურენსია

ვინა? მე?

პასკალა

აბა, ვინ? ჩვენი სოფლის ხუცესი?

ლაურენსია

ნუ გეშინია, ჩემო პასკალა!  
 ჩვენი ვარიკა ეგრე სულელი  
 როდია. სვავის ლუქმა რომ გახდეს!  
 კაჭებს დამტვრევს ფერნან გომეფი  
 თუ დამიპირა შეჭმა!.. საერთოდ,  
 მამაკაცების არ მჯერა, არა!

ჩა სიახმიყო ბოლვას უგუნურს  
 მე მისრენია ცეცხლთან ვიჯდე და  
 ცეცხლდე, როგორ იწვის ტაფაზე  
 ქართული ან ხორცის ნაკერი,  
 ჩოგის შიშინებს, არა გემრიელად  
 თასოს ის ოხერი და იბრაწება!  
 შენ ეს მოთხარი: სჯობია რამე  
 თონეში კარგად გამომცხვარ შოთებს  
 და ღორის ქონში შემწვარ ბადრიგანს?!  
 რა კარგი არი, ჩემო პასკალა,  
 ხავათ შეძეს, ზეარში გაისურნო  
 და მწიფე-მწიფე დახუნძლულ მტევნით  
 საამოდ პირი ჩაიტებარუნო?!

17410-3008-

შემოიფუთნო და დაიძინო  
 უმანკ ბავშვის უცოდველ ძილით!  
 ნუთუ არა სჯობს ეს ყველაფერი,  
 უფრო საამო არ არის, განა,  
 ვიდრე ვიღაცა არამზადებთან  
 ლაზლანდარობა და სიყვარულზე  
 ფულე სიტყვების მოსმენა! მანც  
 რა უნდათ ჩვენგან? ნუთუ, მარტოდენ  
 ის ამოძრავებთ, ჩაგვიგდონ ხელში,  
 მოიკან უინი მამაკაცური?  
 რას ცოდვილობენ ამდენს, არ ვიცი?!  
 ან რა აზრი აქვს მათ გარჩას, როცა  
 მალუშევნ რა თავის საწადელს,  
 ჩაეძინებათ ნასიამოვნებს,  
 და ილვიძებენ ზიზლით აღსილნი?

პასკალა

შენ შართალი ხარ, ასე იციან!  
 კოვჭავებს ჰგვანან მამაკაცები!

2. ლომე და ვიზი



ზამთრის სიცივე როცა მოუჭერს,  
 ვლეხის ეზოში მოფრინდებიან  
 გუნდ-გუნდად, ქოხში შეკურებიან,  
 ალარც შიში აქვთ, არც მორიდება  
 და იატაქზე პურის ნამცეცებს  
 კუნკავენ ხარბად და გასჭყივიან  
 ტყბილი ხმით: „ძიავ-ძიავ-ძიავო!“  
 ხოლო, როგორც კი გაზაფხულის მზე  
 აბრიალდება, იმავე წუთას  
 მიატოვებენ იქაურობას  
 და შექახილით „ჭიავ-ჭიავო!“  
 მიაშურებენ მწვანე მდელოებს  
 და იმ წყეულებს მაშინ ვერაფრით  
 ვერ შეაჩერებ!.. მაშავაცებიც  
 ასე არიან: როცა ვჭირდებით.  
 ხელში ჩაგდება ჩვენი რომ უნდათ,  
 გვეტკბილებიან და მაშინ ჩვენ ვართ  
 მათვის სიცოცხლე, სული და გული!  
 მაგრამ როგორც კი სახლში შეუწევებ  
 და დაპურებ, იმავ წუთს გარეთ  
 გაიჭრებიან და ოლარ ახსოვთ  
 ის შენი „ძია“ და, უმაღურნი,  
 მხოლოდ „ჭიაზე“ ფიქრობენ ახლა!

#### ლაურენსია

არც ერთი კაცი სანდო არა!

#### პასკვალა

მაგას არ ვამბობ, შენი ჭირიმე?  
 მატყუარები არიან ყველა!

#### გამოსავალა 4

ივივენი, შენ გო, ბარილ დო, ფრთხილ დოჭო  
 ფრთხილ დო ზო  
 ეს რა ჭიუტი ყოფილხარ, მენგო!

#### ბარილ დო

ჩვენს კამათს, ხალხო, ბოლო არ უჩანს.  
 მოდი, ასე ვენათ: ამ ქალებს ვკითხოთ,  
 მაგათ განსაჭონ — ვინაა ჩვენში  
 მართალი.

#### მენგო

ოლონდ პირობა დავთქვათ:  
 მე თუ მოვიგე, რასაც დაშინებით,  
 ახლავე მომცემო! ყაბულს ხართ?

#### ბარილ დო

კარგი.

წაგებული თუ ალმოჩნდო, მაშინ?

#### მენგო

ჩემი ფანდური წაიღეთ! ორმოც  
 კონა ღვინოზე ნაკლები არ ღირს,  
 ჩემთვის კი, იცით — ფასი არა აქვს!

#### ბარილ დო

დაჟიარი ხელი! (ქალებს) ქალბატონებო!

#### ლაურენსია

ქალბატონები? ჩვენ?

#### ბარილ დო

ზრდილობისათვის  
 გითხარით, თორებ, მე ვიცი რასაც  
 დაგიძახებდით!.. ნუ გწყინთ, კარგებო!  
 ხომ იცით, ახლა პირფერობის და  
 ტყუილის დრია! აბა, დაფიქრდით:  
 ვინ ლაპარაკობს სიმართლეს ჩვენში,  
 ან თუა ვინმე, კაცის საქციელს  
 არქმევდეს თავის შესაფერ სახელს?

უვიცს — სწავლულად ნათლავენ, ლაჩარს —  
გულადად, შეშლილს — ახირებულად,  
ქურდს და მექრთამეს — მცოდნე მოსაქმედ,  
ძუნწს — ხელმომჭირნედ, ყბეღს — მოსაუბრედ,  
ჩერჩეტ-კრეპის — ოხუნჯად, ხოლო  
ლოთს და აფაზაქს — დარღიმანდ კაცად!  
ამ ბოლო დროს კი, რადგანაც სიტყვას  
მთლად დაეკარგა წონა და ფასი,  
სუუელას ერთად — უქნარას, ჩერჩეტს,  
ლაჩარს, მექრთამეს, ქურდს და აფაზაქს.—  
ერთი სახელი გამოუგონეს—  
„კაცური კაცი!.. ჰოდა, გეთაყვათ,  
რად გიკვირთ, თუ მეც სხვის ხმას ავყვეი  
და ასეთ ლამაზ, კოხტა გოგონებს  
„ქალბატონები“ დაგარქვით?!

### ლაურენსია

მართლაც,  
ქალაქში ასე ლაპარაკობენ,  
როდესაც ეიმეს თავს აწონებენ,  
ანდა სურთ უკეთ გამოჩნდნენ, ვიღრე  
სინამდვილეში არიან... აქ კი  
სოფულში, სხვაა, — აქ ყველაფერი  
პირიქით ხდება: აქ მიამიტი —  
უხეირო და ბედოვლათია,  
თავაზიანი — ქლესაა, წყნარი —  
მხდალია, სათნო — ვაიძვერაა,  
პატიოსანი ქალი — სულელი  
ანდა მახინგი. თუ გაიცინებ,  
ნამუსგარეცხილ ქალად ჩაგთვლიან  
და ისეთ ჭორებს გავაგრცელებენ,  
მტრისას!... სჭობია, მოვრჩეთ ამაზე,  
თქვენ რაღაცაზე დავობდით, მგონი?

### ფრონდოზო

მოგვისმინე და განგვსაჯე თვითონ.

### ლაურენსია

ვეცდები.

### ბარილდო

კარგად დაგვიგდე ყური!

### მენგო

როგორც შენ იტყვი, ისე იქნება.  
შენა ხარ ჩევნი მსაჭული!

### ლაურენსია

კარგი.  
რაშია თქვენი უთანხმოება?  
დაენაძლიერ ერთმანეთს?

### ფრონდოზო

დიახ.  
მე და ბარილდო — აი, ეს კაცი,  
აი, ამას — მენგოს დაგვნაძლიერ!

### ბარილდო

ჭიუტია და ვერ დავაჭერეთ  
ის, რაც დღესაცით ნათელი არი!

### მენგო

მე ჩემი მითქვამს! ამან განსაჯოს,  
საღ — მართალია და საღ — ტყუილი!

### ლაურენსია

რაშია საქმე, გამაგებინეთ!

### ბარილდო

მენგო ამტკიცებს, რომ სიყვარული  
არ არსებობსო...

### ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

უყურე ამას,  
რა მოუჩახავს?! სისულელეა!

### ბ ა რ ი ლ დ ო

გაიგე, რა თქვა? მოკაյვე თოთი!  
სიყვარული რომ არ იყოს, ძმაო,  
ეს ქვეყანაც არ იარსებდღ!  
შენ, მაგალითად, საიდან გაჩნდი?

### მ ე ნ გ ო

კაცო, მე მაგას არ გეუბნები!  
საიდან გავჩნდი და როგორ გავჩნდო?  
ეგ კარგად ვიცი!

### ბ ა რ ი ლ დ ო

მაშ, რალას დავობ?

### მ ე ნ გ ო

მე იმას ვამბობ, ადამიანი  
სხვა ადამიანს ვერ შეიყვარებს!

### პ ა ს კ ვ ა ლ ა

უკაცრავიდ ვარ, მაგრამ შენ სცდები!  
ანდა იქნება ბრმა ხარ? ვერ ხედავ,  
ყველა სულდგმული თავის სწორს ეძებს,  
კაცს — ქალი უყვარს, მამალს — დედალი...

### მ ე ნ გ ო

ეგრე გაონია! სინამდვილეში  
თავის თავს ჰყვარობს სუყველა! აბა?!

თავის საკუთარ ჟინს იყლავს, თავის  
ენებას აპურებს!

### პ ა ს კ ვ ა ლ ა

სტუუიხარ, მენგო.

### მ ე ნ გ ო

კარგი! რა არი, მაშ, სიყვარული?

### ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

მშვენიერება! სილამაზისკენ  
სწრაფვა!

### მ ე ნ გ ო

კეთილი. ახლა მითხარი:  
რატომ მიიღოვის სილამაზისკენ  
შეყვარებული?

### ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

როგორ თუ რატომ?  
სურს გაიხადოს თავისად, უნდა  
დაისაკუთროს, დასტუბეს აშითი.

### მ ე ნ გ ო

მე სწორედ მანდ ვარ!.. მაშიადამე,  
ადამიანი, რომელსაც უყვარს,  
მხოლოდ საკუთარ ნეტარებაზე  
ფიქრობს და მარტო თავისთვის ზრუნავს?!

### ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

დიახ...

### მ ე ნ გ ო

საკუთარ თავზე კი ზრუნვა  
თავისი თავის სიყვარულია!  
ასე არ არი?

### ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

ასეა.

მენგო

მერე,

რას მედავებით, არ ვიცი? მეც ხომ  
მაგას ვამტკიცებ, რომ აღამიანს  
არ შეუძლია სხვის სიყვარული!

პასკვალა

ამ საკითხს, ხალხო, ეგრე აღვილად  
ჩვენ ვერ გადავწყვეტ! ჩვენზე უკეთეს  
ხალხს უმტკრევია ამაზე თავი!

ლაურენსია

და მაინც, მენგო, ვერ დამარწუნებ,  
თითქო უქალოდ, უსიყვარულოდ  
გიტარებია წუთისოფელი.  
თუ ეს ასეა, — ბედს უმადლოდე!

მენგო

შენ გიყვარს ვინჩე?

ლაურენსია

მხოლოდ და მხოლოდ  
პატიოსნება ჩემი!

ფრონდოზო

ო, ღმერთო,  
დახაჭე იგი იჭვიანობით!

ბარილი

მე სანაძლეო მაინტერესებს!  
ვინ გაიმარჯვა?

პასკვალა

შენს ხუცესს ჰყითხე!  
ლაურენსიას არავინ უყვარს

და თქვენს მსაჯულად ვერ გამოდგება,  
მე კი არ მყოფნის გამოცდილება,  
რომ გადავწყვეტო თქვენი კამატი.

ფრონდოზო

უგრძელი გული! ამაზე უფრო  
საშინელება რა უნდა იყოს?

ბარილი

რიცხვი და ფლორესი

ფლორესი

პატიოსან ხალხს ჩემი სალაში!

პასკვალა

ჩრდილი გვეახლა კომანდორის!

ლაურენსია

ძალია მისი! (ფლორეს) სადა ყოფილხარ,  
ჩემი ნათლიმამ?

ფლორესი

ომში! ბრძოლაში!  
განა ვერ მატყობ ტანისამოსზე?

ლაურენსია

მაში კომანდორიც დაბრუნებულა?

ფლორესი

გამარჯვებული, როგორც ყოველთვის  
ბრძოლა მოვიგეთ, თუმც, მართალია,  
ძვირად დაგვიჯდა ეს გამარჯვება!

ગુરુનાનંદ મંદિર

მოყევი ახლა: რა იყო, როგორ...  
ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს!

ગુરું ગુરૂ

გვამბობთ. ჩემშე უკეთ ვერავინ  
უკრ მოგიყვებათ იმას, რაც მოხდა...  
მაშ, ასე... ორი ათასი მხედრით  
ჩევე მივალევეთ სოუდალ-რეალს.  
ჯარს თვით მაგისტრი წინ მიუძღვდა,  
ხოლო მის გვერდით, აბჯარს სმული,  
სახელმგანი ფერნან გომეცა  
მიაგდეს უკეთ თავის ბედაურს!  
იმათ შეხედვს არა ჯობდა ას!—  
უწევერულვაში მაგისტრის გვერდით  
ფერნან გომეცა მოჩანდა, როგორც  
მიწაშ მძლავრად ფესვებგაღდეული.  
ტორებგაშლალა, ვეძა მუხა!  
თქვენ იქნებ ფიქრობ, სოუდალ-რეა  
ფერნი ევალა, მოულლნელად  
ჩევენი ჯარი რომ იხილა ბჭესთნ?

არავითარი! დარმა, პატარამ,  
ხელი დასტაცა ყველმ იარას.—  
თავს გავტიროვთ საშობლოსათვის,  
და ამ ძალილით გამზენებული  
გვეცნენ ისეთი თავაგამოღებით  
და გავიჩალეს ისეთი ბრძოლა .  
სისტანის მღვრელი და გააფორებული  
რომ სანახევროდ გავტყვიორეს თითქ  
სამი დღე-ათე გაგრძელდა ომი  
და ბოლოს ვძლიერი!.. ჩევენი ჭარუკი  
ქალაქ შებრძანდა დიდი ზეიმოც  
და დაამყირა სწრაფად წესრიგი  
იმით, რომ მთავრ მებმბონებს  
თაყრიაინა თავის აკელას!

მოგვეხსნებათ ხალცური სიბრძნე:  
„შეში შეკემო სიყვარულს!“ — მოდა,  
ეხლა მაისტრი ღმერთია მათქვას, —  
ყველა თაყვანს სცემს და ემონება!

(საკუთრივი, ხე)

გესმით საყვირი?! ის მობრძანდება —  
ჩენი ბატონი, ფერნან გომეცი!  
ლიმილით დავხვდეთ ჩვენს ხელისუთაოს!

Digitized by srujanika@gmail.com

ଓগোবেন্দি দ্বাৰা প্ৰমাণিত হ'লো, ক্ষেত্ৰ কেবল কেবল গ্ৰেড-১  
ৰেটিং দুইটি অলঞ্চিত এবং উভয়েই মেমুনিয়েন্দি দ্বাৰা  
সন্তোষিত হৈছে।

მემკვიდრეობის მინისტრი

დიდება ხისონებს,  
 დიდება გუზებანებს, —  
 ფულადის ხელით რომ  
 მცსრავენ დუშმანებს!  
 ვაშა, ჩევნს კომანდორს!  
 სიკვდილის მთესავი  
 მისი ორლესული  
 ელვარებს მზესავი!  
 მან წამოაჩინა  
 სიუღად-რეალი. —  
 მჟღამ დღეგრძელობეს  
 ჩევნი მარტინალი!  
 მისი მზე ნურასძროს  
 ნუ დაიბინდება...  
 დიდება კომანდორს!  
 კომანდორს დიდება!

3082600060

შადლობა სოფელს, თვითეულ თქვენგანს —  
ჩემი ასეთი დაზასებისთვის!

### ესტებანი

ჩვენო მფარველო და მწყალობელო!  
სენიორ! სოფლის ყველა მკვიდრისგან,  
აგრეთვე ჩვენი საბჭოს სახელით,  
მე გთხოვთ, მიიღოთ მცირედი ძლვენი:  
ეს სანოვაგით სავსე ურმები  
და ეს გორები, — შიგ ნახელავი  
აწყვია ჩვენი: ჭურჭლეულობა...  
კოხტად ნაჟედი და მოხატული...  
აი, აქ გახლავთ, — ესეც თქვენია,  
ინებეთ, — თეთრი ბატების გუნდი.  
შეხედეთ, როგორ ყელყელაობენ, —  
როგორ ცდილობენ კალათებიდან  
თავი გამოყონ, რომ თქვენს გმირობას,  
თქვენს გამარჯვებას შეასხან ქება!  
ეს გოჭის ხორცი ახალთახალი,  
ესეც საწყვადე ღორის სუება:  
ეს კიდევ თევზი: თართი, თორუჭი,  
ზუთხი, კალმახი და ორაგული!  
ესეც ქათმები, მსუქან-მსუქანი  
დედლები გახლავთ! თქვენი ჩამოსვლა  
გვამცნეს თუ არა, იმავე დღესვე  
სულ ერთიანად გავწყვიტეთ ყველა!  
უცებ დაქვრივდნენ ჩვენი მამლები  
და, თუმცა ცოტა მოწყენოლები  
არიან ახლა, განთიადისას  
თქვენს სადიდებელს მარც მლერიან!..  
სხვა წვერილმანებით თავს არ შეგაწყენთ.  
ესაა ძლვენი სიყვარულისა,  
ღმერთმა შეგარგოთ, ჩემო სინიორ,  
სულ გამარჯვებით გევლოთ მიწაზე  
ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ!

კომანდო

მაღლობა მითქვამს. კარგად იყავით.  
ნახვამდის!

### ესტებანი

აბა, ბიჭებო! ერთიც  
დავაგუცუნოთ ჩვენი წასვლისა!  
მე მუსიკენი (მლერიან)  
მისი მზე ნურასდროს  
ნუ დაიბინდება, —  
დიდება კომანდორს!  
კომანდორს დიდება!  
‘გლეხები და მემუსიკენი გადიან,

### გამოსაღა

კომანდორი, ლაურენსია, პასკვალა  
ორტუნიო და ფლორესი.

კომანდორი (ქალებს)  
თქვენ მოიცავთ.

ლაურენსია  
თქვენს მოწყალებას  
რამე ნებავს?

კომანდორი  
ჭიუტობ კიდევ?  
უყურე ამას, რა თავხედია!

ლაურენსია (პასკვალის)  
შენ ვეუბნება ამას, პასკვალა?

პასკვალა  
არა, ცხადია.

კომანდორი

შენ გეუბნები,  
შენ, ჩემო ურჩო, ლამაზო გვეღლო!  
და შენც, ლამაზო, ხეპრე გოგონავ!  
თქვენ ორივენი ჩემი ხართ!

პასკვალი

დიახ,  
თქვენი ვართ... მაგრამ არა იმგვარად,  
როგორც თქვენ ფიქრობთ!

კომანდორი

ჰო, კარგი, კარგი!  
შებრძანდით სახლში! შებრძანდით-მეთქი,  
რამ შეგაშინათ, იქ ხომ ხალხია?

ლაურენსია

მამაჩემიც რომ დარჩენილიყო,  
წამოვიდოდი, მარტო კი... არა,  
ფეხს არ გადავდგამ!

კომანდორი

შენ ეი, ფლორეს!

ფლორესი

გისმენთ, სენიორ!

კომანდორი

არ ასრულებენ  
ბრძანებას ჩემსას!

ფლორესი

აბა, გვრიტებო,  
შიბრძანდით! ჩქარი!

ლაურენსია

ხელი არ მახლო!

ფლორესი

მიბრძანდით-მეთქი! არ გესმით, რა ვთქვი?  
ნუ გამომიყენოთ მოთმინებიდან,  
თორებ უხეში ჭარისკაცი ვარ  
და შეიძლება გატკინოთ რამე!

პასკვალი

გაიწი იქით! ვის ატყუილებ?  
როგორც კი შევალთ, კარს მოვაკეტავ!

ფლორესი

არა, სულელო! სენიორს უნდა  
თავის ნადავლი გაჩერენთ. მართლა!

კომანდორი (ორტუნის, ჩუმად)

სახლში რომ შევლენ, იმავე წუთში  
დაკეტავ კარებს! (გადას)

ლაურენსია

გაგვიშვი, ფლორეს!

ფლორესი

არ შემიძლია, ლაურენსია!  
იმ საჩუქრებში, რომლებიც ახლა  
თქვენმა კაცებმა მოართვეს ბატონს,  
თქვენც ხართ ორივე!

პასკვალი

უყურე ამას!

### ლაურენსია

გნა კომანდორს ცოტა მიართვეს  
ბატი, ქათამი და ღორის ხორცი?

### ფლორესი

ღორის ხორცს თქვენი სად შეედრება?  
კომანდორს ნაზი კერძები უყვარს!

### პასკვალი

ისემც გაუსკდა იმას მუცელი!  
დაუსხლტებიან და გაჩბიან.

### ფლორესი

რა გვეშველება ახლა მე და შენ?  
რა ვუთხრათ იმას?

### ორტუნია

აბა, რა ვიცი!  
ხელცარიელებს რომ დაგვინახავს,  
ცოცხლები ვეღარ გადავუჩქებით!  
გადიან.

### სურათი ვისამი

მეფეთა საცხოვრებელი მეღინა-დულ-კამპოში.

### გამოს 3 ლა 8

მეუე ღონ ფერდინანდი, დედოფალი  
იზაბელა, ღონ მანრიკე და ამალი.

### დედოფალი

მე მოგახსენებთ, სენიორ, რომ ჩვენ  
ამჟამად საფრთხის წინაშე ვდგავართ:  
მეუე ალფონსო ჭარს იქრებს უკვე!

### II ტე

მრავერია! მხარს დაგვიშერებ  
არაგონიდან, ნავარიდანაც...  
მე იმედი მაქვს ჩვენი ძალისა!

### დედოფალი

მოქმედება და გაბედულება —  
ესაა მთლოდ თავდები იმის,  
რომ გავიმარჯვებთ...

### ღონ მანრიკე

სიუდადიდან  
რეხიდორები გეალნენ, მეფის,  
საუბარი სურთ!

### მეუე

სთხოვეთ მობრძანდნენ,

ღონ მანრიკე გადის და ბრუნდება რეხიდორების  
თანხლებით.

### გამოს 3 ლა 9

### იგოვენი და რეხიდორები

### პირველი რეხიდორი

დიდო მეფეო! ნება მოგვეცი  
ქალაქ სიუდად-რეალის ყველა  
მკვიდრის სახელით უმორჩილესი  
თხოვნით მოგმართოთ... გვიშველე, მეფევ!  
გამოგვესარჩლე! ვერაგი მტერი  
თავზე დაგვესხა მოულოდნელად!  
დიდი მაგისტრი კალატრავისა,  
ნორჩი როდრიგო ტელეც ხირონი, —

ცობილი თავის პატივმოყვრობით და უძრვილური თვეგასულობით; — და გარს შემოერტყა სიუდად-რეალს. სამი დღე-ღამე გაგრძელდა ბრძოლა, მეუჩებში სისხლი ლვარდ დიოდა, მაგრამ ვერაფერს გავხდით... აძუაძლ  
ქალაქი შკვე-ალებულია და კალტრავის ორდენის დროშა ფრიალებს მისი კარიბჭის თავზე... ქალაქს განაგებს ფერნან გომეცი, ისაა ჩვენი ხელისუფალი და თუ დროულად არ მოგვეშელეთ, თქვენი ერთგული ქვეშევრდომები მისი მონები გაეხდებით ყველა.

მეცე

საღაა ახლა ფერნან გომეცი?

პირველი რეციდორი

ალბათ ფუენტე ოვეხუნაში, იქ ცხოვრობს.

მეცე

გარის მეთაურები თუ დაგრჩა ვინჩერი!

მეორე რეციდორი

არა, მეცეო, ვისაც შეეძლო წინამდლოლობა, ან

ან მოკლეს, ან ტყვედ ჩავარდა...

და დაუკავშირდეთ და დაუკავშირდეთ!

და დაუკავშირდეთ! მაშინ, დონ მანჩიკე-

დაუურცებლივ გაემგზავრებით!

თან გაიყოლებთ ერთ-ორ ლეგიონს, — მეტა, მი ეციქრობ, არც დაგვირდებათ ის თვეგასული ტლაპის, მაგისტრის, ფასისტელად და ასალაგმაგად!

თო მ მანჩიკე

იმდი ვქონდეთ, ჩემო მეფეო, სამღვაცის დავუდებ მის უგნურებას და თუ სიკვდილმა არ შემაჩერა, გომირგვებული დაგიბრუნდებით!

უველანი გადიან.

სურათი ავოთხე

მინდორი ცუენტი ოვეხუნას მაზლომლად.

გააოსავლა 10

ლაურენსია და ფრონდ იზო

ლაურენსია

რამდენჯერ უნდა გითხრა, ფრონდოზო: ჩამომეხსენი!

ნუ დამდევ კუდმი!

აბა, ეს რას ჰეგავს! სახლიდან გარეთ

ვერ გამოისულვარ! დოლისაც წყაროზე

სარეცხას რეცხვა არ დამაცალე!

შენი უგნური ქცევის წყალობით

მთელი სოფელი ჩვენშე ყაყანებს!

ათას რაღაცას ჭორაობს ხალხი!

ამბობენ, თითქა მე და შენ უქვე

გაჩარხული გვაქვს საქმე სავსებით

და დღეს იქნება თუ ხვალ იქნება,

ეკლასიაში ჭვარს დაგვწერს მღვდელი!

ამაზე ფუქრიც კი არ გაბედო!

შენ, მართალია, კარგი ბაჭი ხარ,

შნორიანი და წარმოსადეგი,

მუყაითი და დაუზარელი,  
მაგრამ ცოლბას ვერ დაგაირდები!  
არა და არა! დაოჭახებას  
ჯერ არ ვაპირებ და შენც, ფრონდოზო,  
გირჩევ, მაგაზე აღარ იფიქრო!

ფრთხილი ზოგი

ლაურემსია! რად მტანგავ, ქალო?!  
შენი დანახევ, შენს ახლო ყოფნა,  
შენს გვერდით გავლა სულს მიღებაშს, მაგრამ  
სატყვას იტყვი და ასე მგონია,  
თითქო კუბოში მაწვენდე ცოცხლად!  
ნუთუ ვერ ხედავ, შე დალოცებილო,  
რომ ერთი ფიქრით ვსულდგმულებ, შენთან  
შეუღლებაზე ფიქროთ!.. და ასეთ  
სიყვარულისოვის, ერთგულებისოვის  
ესაა შენი პასუხი?

ლაურენცია

სხვაგვარ  
პასუხს ნუ ელი!

ფრთხილი ზოგი

ვერ დავიგერებ,  
რომ შენ ეგეთი უგრძნობელი ხარ!  
აბა შემხედე, რას დავეშვაგეს!  
უშენოდ აღარც სმა-ჭამა მახსოვეს,  
არც ძილი მინდა, არც მოსვენება,  
აღარც ხალისი შემრჩი რისმე!  
რატომ მაწვალებ, ლაურენცია?  
ცადან მოფრენილ ანგელოზს ჰყავხარ,  
რად ხარ ასეთი მქაცრი? ღმერთმანი,  
თუ კიდევ ცოტა გაგრძელდა ასე,  
ან თავს მოვიკლავ, ან გავლოთდები!

36

ლაურენცია

მოლოთდები და ჩვენი მყითხავი  
მოგამარტინს, მაგის წამალი იცის!

ფრთხილი ზოგი

ერთი წამალი მომარტინს მხოლოდ —  
შენი თანხმობა!

ლაურენცია

ჰო, კარგი ახლა!  
მძღოლ ლაპარაკს, ისა სჯობია,  
მამაშენს, ქერა ხუანს, განდო  
ეგ შენი ზრახვა ახირებული.  
მოითაბირეთ, აწონ-დაწონეთ  
და თუ დათანხმდა... მაშინ...

ფრთხილი ზოგი

რა, მაშინ?

ლაურენცია

ჯერ არ მიყვარხარ, მაგრამ, ვინ იცის...  
ვნახოთ, ამქვეყნად რა არა ხდება!

ფრთხილი ზოგი

ვიღაცა მოღის... სენიორია!

ლაურენცია

სანადიროდ თუ მიეხეტება!..  
არ დაგინახოს, აგერ იმ ბუჩქებს,  
ამოეფარე! რას დგახარ, ჩქარა!

ფრთხილი ზოგი

17

• 888 3 3 3 3 3 3

კომინდორი არბალეტით ხელში, ლაურენსია, ფრანდოზ — შუჩქებში მიძილული.

კომინდორი

შედა ცერიერი, — ესაა სწორედა: ტახის ვეძებდი და შველს შევეყარე!

ლაურენსია

მე... მე აქ, ხის ქვეშ, დასასვენებლად ჩამოვჭერ ერთ წამს... სარეცხა ვრეცხდი... თქვენი ნებართვით, წავალ, სენიორ...

კომინდორი

მოიცა ერთ წამს! ეგ გულგრილობა და ეგ სიკერპე სულ არ შევცერის იმ სილამაზეს, რომლითაც ზეცამ შენ ასე უხვად დაგაჭილდოვა! ბევრჯერ დაძისხლტი ხელიდან, ბევრჯერ არად ჩაგდე ჩემი კაცობა, მაგრამ ამჯერად ვერ გამეტევი, ვერსარ წამიხვალ! ჩემი შემწედ ეს უდაბური, მყუდრო აღგილი! მომზეზრდა შენთან კუკუმალობის თამაში! ისლა მაკლა, ვიღაც ცეკვირშობოცელ სოფლელმა გოგომ დამცინს ხალხში და დაიკვეხნოს: „ჩვენი ბატონი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფერს გაძლაო ჩემთან!“ აა, მიყურე, რომ ვიზამ ახლა: ლაპარაკში რომ დრო არ დავკარგო, — შენ მანც სიტყვა არ გვესმის ჩემი! — ჯერ მივაყუდებ ხის ქვეშ არბალეტს, მერე მოვისწი ჩანთას, მათარას, და მერე, როვორც მუნჯი — მუნჯურად,

38

შარტო ხელებით გესაუბრები! (მივარდება და ხელს სტაცებს)

ლაურენსია

გონს მოღით! ხომ არ გავიცდით?

კომინდორი

— არა, კალო, ნუ მეურჩები, ქალო! დამნებდი!

ლაურენსია

ლმერთო ძლიერი! მიშველეთ, ვინ ხართ!

კომინდორი

რამ შევაშინა, ჩვენს მეტი ახლა არავინაა აქ... (ებრძის)

ფრანდოზ ზო (თავს დაალგება არბალეტით ხელში)

კომანდორო!

ხელი გაუშვით, თორემ, ლმერთს ვფიცავ, ეგ წმინდა ჯვარი, მკერდს რომ გიშვენებთ, ახლა სამიზნედ გამომადგება!

კომინდორი

ტეტიავ! ქალლო!

ფრანდოზ

დაღლი არა ეარ. (ლაურენსიას) ვაძე ჩემა!

ლაურენსია

ფრონდოზო, ფრთხილად!

39

### ფრთნდოზო

გაიქე-მეთქი, რაღას უდგახარ?!

ლაურქნია გარბას.

### კომანდორი 12

კომანდორი და ფრთნდოზო

### კომანდორი

ახია ჩემზე! რამ გამაბრიყვა,  
სატევარი რომ არ წამოვიღე!..  
შენ ეი, გესმის, დაუშვი დაბლა  
ეგ არბალეტი! დაუშვი-მეთქი!  
მიწაზე დადე!

### ფრთნდოზო

რათაო, ვითომ?

რომ გამაგოროთ აქვე?

### კომანდორი

მუდრეგო,  
როგორ მიბედავ?

### ფრთნდოზო

შეყვარებული,  
წელანა ბრძანეთ, მუნჯი არისო.  
მუნჯი კი არა, უ რუ ა, ბატონო,  
და, როცა სატრფოს ექომაგება,  
არ ესმის, რასაც ეუბნებიან!

### კომანდორი

მაშ, რაღას უცდი, მესროლე ბარემ!

მესროლე ჩქარა და გაათავე,  
შე ტილიანო!

### ფრთნდოზო

ვერა, სენიორ,  
ექმ გამომიყვანთ მოამინებიდან,  
ჩაც უნდ მაგინოთ! გლეხი კაცი ვარ,  
გლეხებს კაცის კვლა არა გვჩვევია...  
წადით ოქვენი გზით, ოქვენი სიკვდილი  
ოვითონ მოგნხავთ, როცა დრო მოვა!  
ამ იარაღს კი მე დავიტოვებ!

მიდის.

### კომანდორი

ბეწვზე ეკიდა ჩემი სიცოცხლე!  
გადავრჩი, მაგრამ... ვა, სირცხვილო,  
როგორ გამთათხა იმ არამზადამ?!

ო, რა სასტიკად ვანანებ ამას!

### ფარდა

## მოძრავი გამორე

### სურათი პირველი

შოედანი ფურტე-ოვეხენაში

### გამოსაზღვრა

კსტერცი და ალ-ომ-ჩო

### კსტერცი

ისე თქვენ მყავლეთ ჯანმრთელად, როვორც  
მე მართალი გარ! საწყობებიდან  
ხორბლის გატანა არ შეიძლება!  
არა და არა! წლეულს მოსავალს  
პირი არ უჩიანს, ჰოდა, ამიტომ,  
ჰარცეალი უნდა გამოვიზოგოთ!

### ალ-ომ-ჩო

მეც ასე ციუიქრობ. მშევიდობიანად  
მართვა თუ გინდა სახელმწიფოსი,  
პირველ ყოვლისა — მეურნეობას  
უნდა მიხედო! მარტო ლაქლაქით  
და დაპირებით ვერას გახდები,  
თუ დაავშიე მოსახლეობა!

### გამოსაზღვრა 2

იგიენი, ლეონე ლოდა ჰარტლი და

### ლეონე ლო

დავიგენანეთ! ჩვენს სალაჟბოში  
სხვები მოსულია!

### ბარი ლო

გვიამბე ახლა, რა არ არ არ  
რას აკეთებდი სალამანქაში?

### ლეონე ლო

ვსწავლობდი.

### ბარი ლო

მაინც, რასა სწავლობდი?

### ლეონე ლო

მსურადა ყველაფრის შემეცნო არსი.

### ბარი ლო

ხარისხი თუ გაქვს რამე?

### ლეონე ლო

გვირ არა.

### ბარი ლო

ერთი რამ მითხარ, გეთაუვა... ახლა,

ძალებ მომრავლდა ნაბეჭდი წიგნი.

ნუთუ სუყველა, ვინც ამ წიგნებს შეს,

ანდა კითხულობს — მეცნიერია?

### ლეონე ლო

წიგნის სიმრავლემ, ჩემო ბარი ლოდო,

მთლად დაბნია კაცობრიობა!

თავისი ტვინით არავინ ფიქრობს!

დასწაფებია ყველა ამ წიგნებს  
 და კითხულობენ: სენაქში, სახლში,  
 წიგნთსაცავებში თუ ლაშქრობის დროს, —  
 თან ყურადღება დაქსაჭისული აქვთ,  
 შეითვისებენ ზეღაპირ ცოდნას,  
 თავში კი რჩებათ მხოლოდ ბურუსი,  
 როგორც სილაზე მღინარის ქაფი!..  
 მე ბეჭდვით სიტყვის არა ვარ მტერი, —  
 მან ბევრი შრომა გადაარჩინა  
 დავიწყებას და დალუპვას, მაგრამ  
 სიკეთეს მუდამ სიავეც ახლავს:  
 რას არ ბეჭდავენ ახლა? ვისაც კი  
 არ ეზარება, მწერალი ხდება!  
 ხოლო სუყველას, ვინც წიგნს გამოსცემს,  
 თავი სწავლულად მოაქვს!

#### ბარილდო

და მაინც,  
 დიდი საქმეა წიგნი, სტუდენტო!

#### ლეონელო

ეჲ, უწიგნოდაც არა უჭირდა  
 კაცობრიობას, — არც ცოდნა აქლდა,  
 არც განათლება! აბა, მითხარი:  
 სადა გყავს ახლა იერონიმეს  
 ან ავგუსტინეს ბადალი ხალხი?

#### ბარილდო

უგუნებოდ ხარ, გეტუობა. დავსხდეთ.

#### გამოსვლა 3

იგივენი, ქერა ხუანი და გლეხი

#### ქერა ხუანი

ისეთი დროა, ქალის მზითევში  
 თორმეტ ქცევასაც ნაკლულობს ხალხი!

#### გლეხი

შენ კომანდორის ამბავი იცი?

#### ქერა ხუანი

აბა! უყურე იმ წუპაქს, იმას!  
 რა აუტესა ლაურემსიას!

#### გლეხი

მე მაგისთანა უზნეო კაცი  
 არ მეგულება დედმიწაზე!  
 ამ ხის წვერზეა ჩამოსახრჩობი!

#### გამოსვლა 4

აგივენი, კომანდორი, ფლორესი და ორტუნიო

#### კომანდორი

უფალი იყოს თქვენი მფარველი!  
 რატომ სწუხდებით, ისხედით!

#### ესტებანი

არა,  
 არ გვეკადრება! თქვენ თქვენს ადგილზე  
 დაბრძანდით, ჩვენ კი ფეხზე ვიდგებით!

#### კომანდორი

დასხელით-მეთქი! მე გთხოვთ!

#### ესტებანი

სენიორ!  
 ჩემი ფეხმარდი ყურშა თუ ნახეთ?

### კომანდორი

კარგი მწევარი გყოლია, მითხვეს...  
პო, მართლა! სიტყვამ მოიტანა და  
იცი, რას გეტქვი? ეგ შენი ძაღლი  
უნდა მათხოვო, ანთა მაჩუქო!  
დიდი ხანია დავდევ ერთ კურდღლს  
და ვერაფრით ვერ დამიჭერია!

ბევრჯერ დამისხლტა ხელიდან, ბევრჯერ  
გამაშილა და დამტოვა მშრალზე...  
ჩამაგდებინე როგორმე ხელში!

### ესტებანი

სიამოვნებით, მაგრამ სადაა  
კურდღლელი?

კომანდორი აქვე... შენ ქალზე ვამბობ.

### ესტებანი

ჩემს ქალზე? როგორ? ლაურენსია?  
კომანდორი

პო, ასე ჰქვია.

ესტებანი აქვე... რა არ გამოისახოდ  
და თქვენ გსურთ იგი... მაგრა  
ჩაიგდოთ ხელში?

კომანდორი  
ასეც მოხდება,  
თუ გაუშერები, გაჯორავ მაგრად!

ესტებანი მიმინდობ  
მერე და არ მაშენები და დაშავები

### კომანდორი

რომ არ გაბეჭდს ჩემთან კერპობა!

### ესტებანი

არ გეკადრებათ, სენიორ, ჩემთან  
იგ ლაპარაკი.

### კომანდორი

დახე, ტეტიას!  
მექმათება კიდეც!

### ესტებანი

სენიორ!

ჩვენ ყველას ოქვენი მფარველობის ქვეშ  
მშვიდობიანი ცხოვრება გვინდა.  
ნუ გაგვიმწარებთ ლუქმას, რომლითაც  
ოქვენი წყლობით საზრდოობს ხალხი!  
ოქვენ, მართალია, წარჩინებული  
პირი ბრძანდებით, ჩვენი ბატონი;  
მაგრამ ფუნქციები რვეხუნაში  
ცოტა როდია აღამიანი  
ლირსეული და პატივსაცემი!

### ლეონელო

ეს ვინ ყოფილა! რა თავეცდია!?

### კომანდორი

ეი, რეხიდორ! თქვი, თუ ღმერთი გწიმს,  
ვის ვაწყენინე?

### ალონშო

თქვენი სიტყვები  
შეუჩაცხოფას გვაყენებს ყველას! მაგ  
რატომ გვამცირებოს ასე? რად ბლალავი  
ჩვენს კაცობას და ნამუს-ლირსებას?

### კომანდორი

ლირსებასაო? დასწუყევლის ღმერთმა!  
გესმით, ბიჭებო? ამ მათხოვრებსაც  
ჰქონიათ თურმე ლირსება?!.. იქნებ  
რაინდებიც ხართ? მითხარით, ბარემ:  
რომელ რაინდულ ორდენს ეკუთვნით?

### ალონზო

სენიორ, იმან დაიტრაბახოს  
თავის ღირსებით, ვისაც შემთხვევით  
ერგო ეგ ჯვარი, ახლა თქვენ გულზე  
რომ გიყეთიათ... თქვენი სისხლი კი,  
ჩვენსას არაფრით არა სჯობია!

### კომანდორი

რას მეუბნები?! იქნება უფრო  
ბინძურიცა? მაშ ჩემი მღვრიე,  
მურდალი სისხლი რომ შევურიო  
თქვენსას, წახდება თქვენი გილაგი?

### ალონზო

კაცს მხოლოდ მისი ბიწიერება  
წაახდენს!

### კომანდორი

მაგრამ თქვენი ცოლები  
სხვას რომ ფიქრობენ? მათ ჩემი სისხლი  
სრულებითაც არ ეუცხოებათ,  
ხოლო ალერსი და მოფერება  
მოსწონთ კიდევაც და სიამოვნებთ.

### ესტებანი

სენიორ, რატომ კადრულობთ ამას?!  
ეგ, რაც თქვით, არის ცილისწამება  
და აქ კაციშვილს არ სჯერა თქვენი!

### კომანდორი

ამ ტეტიებში ყოფნა მართლაც რომ  
მოსწყენა! აფსუს ქალაქი!  
იქ წარჩინებულ კაცს შეუძლია  
დრო გატაროს თავის ნებაზე!  
იქ ქმრებაც უფრო საოდა მსჯელობენ  
და უხარით, როს დიდებულნი  
მათი ცოლების სანახავად და...  
გასამზნებლად დაბრძანდებიან!

### ესტებანი

სცდებით, სენიორ! ქალაქებშიაც  
არის ღმერთი და არის კანონი!

### კომანდორი

გასწით აქედან!

### ესტებანი (ალონზოს)

ჩვენ გვეუბნება?  
სუყველას?

### კომანდორი

გასწით, რაღას უდგახართ?!  
კაცი არ ენახო აქ, მოედანზე!

### ესტებანი

წავალთ, ბატონო...

### კომანდორი

ერთად კი არა,  
ცალ-ცალკე წადით!

### ფლორესი (კომანდორს)

ნუ გაფიცხდებით,  
არ ღირს.

კომანდორი

მაგათი ქოქი კი გაწყდა!  
განა არ ვიცი, წავლენ ახლა და  
საღმე სხვა ადგილს მოყუჩდებიან  
და გააპამენ ლაქლაქს!

ორტუნიო

სენიორ,  
ცოტა სიმშვიდე და მოთმინება!

კომანდორი

ისედაც მიკვირს, აქამდე როგორ  
ვითმენდი!.. წადით სახლებში ყველა!  
მაგრად დაკეტეთ კარი და გარეთ  
არ გამოხვიდეთ! გესმით, რას გამბობზ!

ლეონელო

ამას რას ხედავს ჩემი თვალები?!

ესტებანი

თქვენ — იქით... მე კი — ჩემი გზით წავალ.

გლეხები გადინ.

გაგოსალა

კომანდორი, ორტუნიო და ფლორესი

კომანდორი

ვისთან გვაქვს საქმე, ხედავთ?!

ორტუნიო

სენიორ,  
რაც გულში უდევთ, იმას ამბობენ,  
თქვენ კი, რატომლაც, არ გვერათ მაინც?

რომ მოთმინების ფიალა მათი  
უკვი აიცსო.

კომანდორი

და მერე რაო?  
განა მე მათი ბატონი არ ვარ?

ორტუნიო

არა, მე მაგას არ გეუბნებით.

კომანდორი

ის კი, ის ხეპრე, არბალეტი რომ  
ამართვა, დადის თავისუფალი?

ფლორესი

წუხელ, ერთ ყმაწვილს იმის მაგივრად  
მოხვდა მაგარი! ლამის წუგდიადში  
ლაურემისიას სახლთან ვილაცა  
მას მივამსგავსე... მივეპარე და  
ვუთაქე თავში!

კომანდორი

სად იმალება  
ფრონდოზო?

ფლორესი

აქვე იქნება საღმე,  
დაეხეტება ტყე-ტყე.

კომანდორი

უყურე,  
არ ეშინია ძალიშვილს! მას ხომ  
მოკვლა უნდოდა ჩემი!

### ფლორესი

ეტყობა,

აინურშიაც არ ავდებს თავის  
ბატონის წყრმას! მაგრამ სად წავა?  
ჩიტაც რომ იყოს, მწერიც რომ იყოს,  
ამ ტყეში ვერსად დაგვემალება!

### კომანდორი

მე თავს ვიყავებ, თორემ, მერწმუნე,  
თუ ვამოვედი მოთმინებიდნ,  
ერთი საათიც არ დატვირდება,  
რომ მოლად აღვგავო მიწის პირისგან  
ეს დაშვივლილი, ურჩი სოფელი!  
დავწვავ! ქვას-ქვაზე აღარ დავტოვება!  
საკუთარ ხელით დავხრინობ ყველას!..  
არაფერია, ამის დროც მოვა!  
ჭერებულით კი, რა გაეწყობა,  
შერჩების მრისხანე გრძნობა  
გონებას უნდა დავუმორჩილო.  
რათ — პასკვალამ?

### ფლორესი

ორ-სამ კვირაში  
გაეთხოვდებიო. შენმა ბატონშა  
დამაცალოსო ცოტაც!

### კომანდორი

მაშ, ვადის  
გაგრძელებას მოხვეს?

### ფლორესი

რისთვისაც უხვალ  
ლაგაჭილდოვებთ! ნალდ ანგარიშზე  
ვაგისწორდებათ!

### კომანდორი

მარინამ, რაო?

### ფლორესი

ეჭვანობსო ჩემი საქმარო,  
სულ კუდში დამდევს, არ მცილდებაო!  
იმანც გთხვათ, ცოტა ადროვოთ,  
სანამ იმ ყეყეჩის დაშოშმინებს  
და მერე — იქაც გზა გახსნილია!

### კომანდორი

ინესა ნახე?

### ფლორესი

იგ რომელია?

### კომანდორი

ანტონის ცოლი.

### ფლორესი

ო, ის მზაღაა  
მოგემსახუროთ, როცა კი გნებავთ!

### კომანდორი

მიყვარს ქალები! განსაჯუთტებით  
ი ეგეთი, თავქარიანი  
ქალები მიყვარს, დიდხანს დევნა რომ  
არა სჭირდებათ!.. ერთია მხოლოდ —  
სულ არ ვაფსებ ამნიარ ქალებს!  
თუმცა რა ჩემი ბრალია? მაგთ  
თავისი ფასი თვით არ იციან!  
კიდევ კარგი, რომ ეგრეა, თორემ  
მათ რომ იცოდნენ თავისი ფასი,  
მამაკაცები სულ ერთიანად  
ქალების დევნას გადაყვებოდით!

### 8 ამოსელა 6

რგევენი და სიმბრანოსი

სიმბრანოსი

კომანდოს ექტენდ. საღაა?

ორტუნიო

ავერ!

სიმბრანოსი

სახელოვანო ფერნანდო გომეც,  
ისეე საბრძოლო საყვირი გიშმობთ!  
ეგ მწვანე ჩაჩი უნდა შესცვალოთ  
ელვარე ზუხით, ხოლო ხიფთანი —  
ჯაჭვის პერანგით და საჭურველით!  
თქვენს სამფლობელოს — სიუდად-რეალს  
მოულოდნელად თავზე დაესხა  
კასტილიელი ხელმწიფის ჯარი!  
ალყაშემორტყმულ ქალაქში დარჩა  
ყრმა დონ როდრიგო ტელეც ხირონი!  
თუ მას დროულად არ მიეშველოთ,  
არ დატეხეთ მტერს თავზე რისხვა,  
სიუდად-რეალს — განადგურება,  
ხოლო დიდ მაგისტრს — ტყვეობა ელის!  
იჩქარეთ!

### კომანდორი

კმარა! ლაპარაკის დრო  
არაა ეხლა! შენ, ორტუნიო,  
დაჭკარ დაფდაფებს! ამ წუთში ყველა  
აქ გამოცხადდეს!.. სულ რამდენი ვართ  
გარისკაცები?

ორტუნიო

ორას კაცამდე.

### კომანდორი

ვეფულფით... აბა, ცხენებზე ყველა!

სიმბრანოსი

თუ არ აჩქარდით, სიუდად-რეალს  
კასტილიელთა მეცვე დაიპყრობს!

### კომანდორი

ევ არ მოხდება, ნუ გეშინია!

სჭრაფად გადის.

### 8 ამოსელა 7

ტყე ზუერტი ოვესუნს აჩლო. ლაურენსია,  
პასკვალი და მენგო

პასკვალი (მენგოს)

ნუ მოგვშორდები.

### მენგო

გეშინია თუ?

### ლაურენსია

აქ, სადღაც აჩლო ნადირობს ხოლმე...  
უდიშურია ეს ადგილები  
და ჩვენ, ქალები, იმისი შიშით  
მუდამ ჯგუფ-ჯგუფად დავიარებით.

### მენგო

ჰაი, დედასა! როგორ დაგაფრთხოთ!  
ჭირია, მოკლედ, აქაურობის!

### ლაურენსია

ჭირი და მეტი! ოღონდ კი ქალი  
იხელოს საღე მყუდრო ადგილის, —

ყმაწვილია თუ ხანშიშესული,  
აღარ დაეძებს!

მენგო

გაუსკდა მიწა!  
მეზი დაეცა იმ შეჩვენებულს!

ბ ა მ ო ს ვ ლ ა 8

იგივენი და ხასინტა

ხასინტა

მიშველეთ, ხალხნ! ღვთის გულისაოვას,  
დამჩალეთ საღმე!

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

რა დავემართა?

პ ა ს კ ვ ა ლ ა

ნუ გეშინია, ჩემო ხასინტა,  
აქ ვართ!

ხასინტა

კომანდორს ჯარისკაცები  
სალაშქროდ მიჰყავს... გზაში შემთხვევით  
გადავეყარე და სენიორმა  
ჩემი დაჭერა ბრძანა... იმათთან  
უნდა წავეთრე... დამდევენ ახლა...

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

რით დაგეხმარო, შე საცოდავო?  
შენ თუ ასეთი რიტ დაგიპირეს,  
მე რას მიზამენ? (გარბის)

პ ა ს კ ვ ა ლ ა

აბა, რა გიყო?!  
მამაკაცი რომ ვყოფილიყვი,  
დაგიფარედი! ქალი ვარ მეცა (გარბის)

მენგო

მე კი კაცი ვარ და ქუდი მხურავს  
და არ შევარცხვენ ვაჟკაცის სახელს!  
მოდი აქ, ჩემთან ჭრო იყავი!

ხ ა ს ი ნ ტ ა

იარალი გაქვს?

მენგო

რამდენიც გინდა!

ხ ა ს ი ნ ტ ა

საღაა?

მენგო

აგერ, ეს ქვები! რაო?  
განა სასროლად არ გმოდგება?  
მე შენ გეტყვი და დავაცდენ ნიშანს!

ბ ა მ ო ს ვ ლ ა 9

იგივენი, ფ ლ ო რ ე ს ი, ორ ტუნიო და ჯრისკაცები

ფ ლ ო რ ე ს ი

როგორ გეგონა, ვერ გიპოვიდით?

ხ ა ს ი ნ ტ ა

მიშველე, მენგო!

### მენგო

შეჩერდით, ხალხო!  
არა ვრცხვენიათ?

### ორტუნიო

უყურე ამას!  
შენ ვინა გლიხარ? გაიწი იქით!

### მენგო

ნათესავია ჩემი ეს ქალი!  
ხელი არ ახლოთ, თორემა..

### ფლორესი

რაო?  
სიცოცხლე ხომ არ მოგძულებია?

### მენგო

თუ გაცვულისდი და ეს შურდული  
დავატრიალე, მე ვიცი მაშინ  
თქვენი ამბავი!

### გამოსახა 10

ივივენი და კომანდორი, სიმიზრანოს

### კომანდორი

რა დაგემართათ?!  
ერთი ვიღაცა გომბიოსათვის  
ცხენიდან უნდა ჩამომიყვანოთ?!

### ფლორესი

სენიორ! გვებრძეის ეს ოჯახორი!  
სწორი თქვით მაშინ: გასაწყვეტია  
მოელი სოფელი!

### მენგო

ჩემო სენიორ!  
თუ რაინდული თვისება არი  
სახართლის დაცვა და მოწყალება,  
გემუდარები, ნუ გაგვიშეტებ  
და ნუ ჩაგვაგდებ სასტიკ ცოდვეში!  
ამბობენ, თითქო შენ განვიზრაჟავს  
აი, ეს ქალი, ეს პატარძალი,  
საქმიანი წაართვა და ლაშქრობაში  
თან ვაიყოლო!.. ნუ იზამ ამას!  
ნება მომეცი, შინ მოიყვანო  
თვის მშობლებთან...

### კომანდორი

მაგის უფლებას . . .  
გაძლევ! მსახურნო, თქვენც გაძლევთ ნებას,  
რომ ვაუსწორდეთ, როგორც შეპჰერის!  
დადე შურდული!

მენგო  
სენიორ!

### კომანდორი

ფლორეს!  
შენც, ორტუნიო და შენც, სიმბრანოს!  
შეპჰარით მაგრად შურდულის თასმით  
და მიაკრით აგერ იმ ხეზე,  
მერე მაგ თქვენი ფართო ქამრებით  
ურტყით და ურტყით! ურტყით მანამდე,  
სანამ ბალთები დაწყდება ქამრებს!

### მენგო

სენიორ, რატომ მიმეტებთ, მე ხომ...

### კომანდორი

ხმა-კრინტი! აბა, მიღით, ბიჭებო!

### მენგო

ღმერთო ძლიერო! ხედავ, რა ხდება?  
ნუთუ შეარჩენ ამ ბოროტებას?!

ფლორესი, ორტუნიოს და სიმბრანის გაჭერა მეჩო-

გამოსვლა 11

კომანდორი, ხასინტა და ჯარიკაცუში.

### კომანდორი

შე უბედურო, რომ ვამირბოდი —  
სად გმირბოლი? ეგეც არ იყოს,  
როთი მჯობია ვიღაც გლეხუჭა  
მე — კეთილშობილ რაინდა. შენს ბატონს?

### ხასინტა

კეთილშობილი ბრძანდებით, დიახ,  
მავრამ არც ჩვენ ვართ თქვენზე ნაკლები, —  
თუ იმ სასწორზე, რომლითაც სწონით,  
ჩვენს პატიოსან ქალობას დასდებო!

### კომანდორი

შენ თუ გვონია, უკმერხი სიტყვით  
ჩემს მრისხანებას დააცხრობ, — სტრები.  
ვასწო!

### ხასინტა

სად? ვისთან?

### კომანდორი

ჩემთან წამოხვალ.

### ხასინტა

სენიორ, მე გთხოვთ... გონის მოწოთ!

### კომანდორი

კორგი.  
გონის მოვალ, რაკე შენ ასე გაწეა...  
აღალში წახვალ! იქ ჩემს მაგივრალ,  
ჩემს ჯარისკაცებს ასიამოვნებ.  
იმათ მიუუგდებ შენს თავს... ეს მოგწომს?

### ხასინტა

ო, შემიბრალეთ!

### კომანდორი

არა, ძეირფასო,  
ჩემს ნათქვამს აღარ გაღავთქვამ!

### ხასინტა

მხეცო!  
რას მემართლები, რა გინდა ჩემგან?!

### კომანდორი

აბა, იარე!

### ხასინტა

წმინდაო ღმერთო,  
შენ ფამიცარე განსაცდელისგან!  
ხასინტა ვაჰავო

გამოსვლა 12

ძურა ფეხნიე ღვეზნაში.  
ლაურენსია და ფრონდოზო

### ლაურენსია

ფრონდოზო! ხომ არ გაგრებულხარ?  
არ იცი განა, თუ დაგიშირეს,  
რას დაგაწევენ?

### ფრთნდოზო

შენთვის მინდოდა  
შეჩვენებინა, როგორ მიყვარხარ!  
თანაც სერიდან თვალი მოვკარი  
კომანდორს თავის ჭარისკაცებით,—  
ქუდმოგლეჭილნი გარბოდნენ სადღაც  
უძალვე შენსკენ გამოვეშურე!  
შენ ხომ არ გამცემ? პა? არ დამიღუპავ?  
თუმცა, მე ვიცი, თუ რა დამღუპავ,  
მხოლოდ და მხოლოდ — შენი უარი!  
საით წაშავდა ის უწმინდური?

### ლაურენსია

სალაშქროდ.

### ფრთნდოზო

სულაც მოუსავლეთში  
წასულა!

### ლაურენსია

ბიჭო, ნუ ამბობ ეგრე, —  
გამიგონია, ვისაც სწყველიან,  
ის თურმე უფრო დიდხანს ცოცხლობსო!

### ფრთნდოზო

მაშინ იცოცხლოს ათასი წელი!  
ლაურენსია, შენ შემოგველე,  
როდის მალირსებ სანატრელ პასუხს?  
შენ კარგად იცი, როგორ მიყვარხარ, —  
დღეა თუ დამჟ — სულ შენზე ვფიქრობ,  
სულ თვალშინ მიღვას შენი ხატება!  
მთელს სოფელს შენი საქმრო ვგონივარ,  
უველას საცოლე ჰერნიხარ ჩემი...  
რად ხარ ასეთი გულდანურული,  
ბოლოს და ბოლოს, თქვი: პო თუ არა?

### ლაურენსია

პო.

### ფრთნდოზო

ღმერთო ჩემო! ხომ არ მატყუებს  
სენა?

### ლაურენსია

ჰო-მეთქი, ჩემო ფრონდოზო.  
ამას აქ ვამბობ და შეგიძლია  
მთელს სოფელს ამცნო... მე თანახმა ვარ!

### ფრთნდოზო

ნება მომეცი ამ სიტყვებისთვის  
პირქვე ღავებზო და სასოებით  
დავკოცო შენი ტერფების კვალი!  
შენ გამაცოცხლე! ასე მგონია,  
მკვდრეთით აღვსდექი!

### ლაურენსია

ადექი მართლა  
და ზედმეტ სიტყვებს ნუ ლაპარაკობ!  
ახლავე უნდა შეუდგე საქმეს.  
მოეთაბებირე მაძაჩემს... აგერ  
ისიც, აქეთკენ მოემართება!  
მიღი, უთხარი... მოკლედ, შენ იცი,  
რაა საჭირო! მე კი პირობას  
გაძლევ, რომ შენი ცოლი გავხდები!  
სახლში შედის.

### ფრთნდოზო

შენი იმედით ვარ ახლა, ღმერთო!

### პატოთა 13

ეს ტებანი, ალონზო და ფრონდოზო  
ეს ტებანი (ალონზოს)

თვალი მღალატობს... აბა, შეხედე:  
ის ფრონდოზოა?

### ალონზო

ის არი, დიახ.

### ფრონდოზო

სენიორ! თქვენთან საუბარი მსურს.  
ნება მომეციოთ...

### ეს ტებანი

უნებართვოდაც  
შეგიძლია თქვა. უცხო არა ხარ, —  
ერთადერთ ჩემი ქლაშვილისგან  
არ ვაგანსხვავებ. — ჩემი გაზრდალი,  
შენც ასეთივე შვილი ხარ ჩემი!

### ფრონდოზო

ამიტომ ვბედავ უმორჩილესი  
თხოვნით მოგმართოთ... თქვენ იცით, ერთ ვარ.

### ეს ტებანი

შენც შეურაცხყო იმ მხეცმა?

### ფრონდოზო

დიახ...

### ეს ტებანი

მეც შენი წყენა გავიზიარე!

### ფრონდოზო

ჩემო სენიორ! თქვენ იცით, ვინც ვარ.  
ჩეენი ოჯხის ხშირი სტუმარი  
ყოფილხართ... გეტყვით დაუუარავად:  
ლაურენსი მიყვარს და მინდა  
ცოლად ვითხოვო!.. თუ მაპატიებთ  
კაზინერებას, რომ ასე უცებ  
გამოვთქვი ჩემი გულისნადები,  
თქვენს მოწყალებას მივიღებ, როგორც  
მოსალადნელი თანხმობის ნიშანს!

### ეს ტებანი

ფრონდოზო, შვილო! შენი სურვილი  
ჩემსას ემთხვევა და მიხანგრძლივებს  
სიცოცხლის დღეებს!

### ალონზო

კი მაგრამ, თვითონ  
ქალი რას ამბობს? თუა თანახმა?

### ეს ტებანი

ვანა არ იცი ახალგაზრდების  
ამბავი? მაგათ წინდაწმინდების უკვე  
მოითაბირეს და გაჩარხული  
ექნებათ საქმე! ასე არ არი?..  
ახლა მზიოებებზე უნდა ვიფიქროთ.  
დიდი სიმდიდრით ვერ დავიკენი,  
მაგრამ ღირიბიც არ ვარ იმდენად,  
რომჩემს ქალიშვილს დავაკლო რამე!

### ფრონდოზო

არ ვსაჭიროებ მზიოებს, სენიორ,  
თქვენი ასულის ხელსა გთხოვთ მხოლოდ!

ა ლონზო

ო, ეს ისეა შეყვარებული, —  
დედაშობილა რომ გაყოლოთ,  
იმაზედაც კი დათანხმდებოდა!

ე ს ტებანი

მაშინ ვკითხოთ თვით ლაურენსიას!

ფრონდოზო

აუცილებლად!

ე ს ტებანი (ეძახის)

ლაურენსია!

გამოსავალა 14

იგივენი და ლაურენსია

ლაურენსია

რა გნებავთ, მამავ?

ე ს ტებანი (ალონზოს)

აკი გითხარი!  
დაძახებაც კი ვერ მოვასწარი,  
აქ გაჩნდა წამსვე! ჩემო ვოგონავ,  
რას იტყვი... ცოტა იქით გვიდეთ...  
რას იტყვი, შვილო, ამ ჩვენს ფრონდოზოს  
ჩემი დისტვილი ლოლა რომ შევრთოთ?  
არ უნდა იყოს ურიგო ბიჭი?!

ლაურენსია

ლოლა თხოვდება?

66

ე ს ტებანი

რატომაც არა, .  
თუკი მთხოვნელი გამოუჩნდება.

ლაურენსია

მე ვფიქრობ, მამავ... კარგი იქნება!

ე ს ტებანი

მაგრამ ლოლა რომ ულამაზოა?  
იქნება აჯობებს, ამ ჩვენს ფრონდოზოს  
შენ გაჰყვე ცოლად?

ლაურენსია

ხუმრობას მარც  
არ იშლით, თუმცა გაჭალარავდით!

ე ს ტებანი

გიყვარს ფრონდოზო?

ლაურენსია

საქმარისია  
ისიც, რომ მასთან მახარებს ყოფნა.  
რატომ და რისოდის — ნუ მეკორებით!

ე ს ტებანი

მაში, თანახმა ხარ?

ლაურენსია

დიახ, ბატონო.

ე ს ტებანი

ძალიან კარგი! ახლა მე ვიცი...  
(ალონზოს) წავიდეთ, ვნახოთ ჩემი მძახალი!

67

ა ლ ო ნ ზ ო

წავიდეთ.

ე ს ტ ე ბ ა ნ ი (ფრონდოზის)

მზითვის რა ვუთხრა, შვილო?  
ოთხ ათასამდე მარავედს მოგცემთ.  
ქეტი...

ფ რ თ ნ დ ო ზ ო

სენიორ, რად შეურაცხმეოთ?  
მე არაფერი არ მინდა თქვენი,  
მათხოვარი კი არა ვარ!

ე ს ტ ე ბ ა ნ ი

მესმის,  
ვანა არ მესმის, მაგრამ, ხომ იცი,  
მზითვის აღება წესია ჩვენში.  
თუ არ მოგეცი, ან არ აიღე,  
მერე ინანებ... მომავალზედაც  
უნდა იფიქრო, შე დალოცვილო!  
შსტებანი და ალონშო გავლენ.

ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

კმაყოფილი ხარ?

ფ რ თ ნ დ ო ზ ო

კმაყოფილიო?  
თვი სიზმარში მგონია, ლამის  
გადავირიო სიხარულისგან!  
ნუთუ, ძვირფასო, ეს მართალია?  
ნუთუ ნამდვილად ჩემი ხარ, ჩემი?  
დიდება შენი სახელის, ღმერთო,  
ძლიერ არ ველირსე ამ ნეტარებას!  
ერთად გავლენ.

გ ა მ ო ს ი ლ ა 15

მინდორი ფუმრე ავეჭნას ხელო. საქორწინო პრო-  
ცესია. მემუ სიკენი, მენგო, ფრთხდოზო,  
ლაურენსია, პასკვალი, ბარილდო, ქერა  
ხუანი, ესტებანი.

მ ე მ უ ს ი კ ე ნ ი (მლერიან)

მრავალყამიერ,  
ნეცე-დედოფალს!  
ღმერთმა აშორის  
ყველა დარდები!  
გამრავლნენ ქვეყნად  
და გაიხარონ  
და გაიფურჩქნონ,  
როგორც ვარდები!

მ ე ნ გ ო

მაგ კუბლეტების მოსაჩმახავად  
დიდი გაფა არ დაგჭირდებოდათ!

ბ ა რ ი ლ დ ო

თუ შეგიძლია, თქვი უკეთესი!

ფ რ თ ნ დ ო ზ ო

მენგომ სიმღერის რა იცის, კაცო!  
მაგას მათხახის ამბავი ჰეითხე, —  
მთელი ზურგი აქეს აჭრელებული!

მ ე ნ გ ო

ას კაცთან მარტო რას გავხდებოდა?  
წამაქცეს და მირტყეს!.. ეგ რაა!  
ერთ კაცს... არ მინდა დავასხელო,  
პატივსაცემი პირია... მელნის  
ოყნა შეასხეს ქვიშანარევი!  
კინალმ მოკვდა ის უბედური!

### ბარილდო

შენ არ გეწყინოს, მენვო, ჩვენ ვხუმრობთ!

### ფრონდოზო

ლექსი ვითხარი, ისა ჯობია,  
ოღონდ კოხტა და დალაგებული!

### მენგო

რასაც ახლა ვიტყვი,—  
არ გაუვა წყალი;  
დღეგრძელ იყოს ჩვენი  
ნეფე-დედოფალი!  
გვევეთოთ ბუდე  
და ცხოვრობდნენ წყნარად,  
თავიანთი მშობლის  
გულის გასახრად!  
დუღუნებდნენ ტკბილად,  
როგორც ორი მტრედი,—  
საფლავშიაც ჩაწვნენ  
ერთმანეთის გვერდით!

### ფრონდოზო

რას გვერჩი, ძმაო?! დაქორწინება  
ვერ მოვასრარით და უკვე გვმარხვ?!

### ბარილდო

ისე კი — მალე გამოთქვა ლექსი,  
ნიჭიერია, ეტყობა!.. ახლა  
ნეფე-დედოფალს ვაცალოთ!

### ლაურენცია (ქერა ხუანს)

მამავ,  
ნება მომეცით, ხელზე გემთხვიოთ!

### ქერა ხუანი

დამილოცნიხართ, ჩემო შვილებო!  
იდლეგრძელეთ და იბედნიერეთ!  
(ლაურენსიას)  
მამაშენთანაც მიდით, იმანაც  
უნდა დაგლოცოთ!

### ესტებანი

ლმერთო ძლიერო!  
შენი კურთხევა მოპირდლე ამათ!  
ფრონდოზო

ახლა ორივემ დაგვლოცეთ ერთად!  
(დალოცავენ)

### ქერა ხუანი

აღსრულდა! აბა, მემუსიკენო,  
სიმღერა, ერთი კარგი სიმღერა!

### მემუსიკენი (მღერიან)

სოფლიდან გამორბის ტურფა თვალწარმტაცი,  
თმები გასწურია ქალს.

მას კალატრაველი რაინდი მამაცი  
შისდევს, არ აშორებს თვალს!  
ბუჩქებს თავს აფარებს გოგონა სწრაფადა,  
შემკრთალი, ფოთლებში ზის  
და ფიქრობს, ამ მყუდრო საფარში აღბათა,  
ვეღარ მომაგნებსო ის!  
„ამაოდ მემალვი ფოთლებით ბურვილი,  
ლამაზი, რაც გინდა ჰქენ,  
ვეფუტვივით სწრაფი ვარ, შმაგი მაქს სურვილი,  
ბუჩქებშიც მოგნახვ შენ!“  
ახლოა რაინდი!.. ქალი კი, ნარნარი,  
ტოტების ბადესა წნავს!  
ფიქრობს, დაიფარავს ეს ზღუდე მაგარი  
და საფრთხეს დაღწევს თავს!

იმ ტრფობის შეწევნით, მასში რომ ელვარებს,  
სჯერა, გადასცურავს ზღვას,  
მთებსაც გადალახებს... მაგრამ ულმობელი  
რაინდ დასძხის მის:  
„ამაოდ მემალვი შტოებით ბურვილი,  
ლამაზო, რაც გინდა ჰქენ,—  
ვეფხვივით სწრაფი ვარ, მძლავრი მაქვს  
სურვილი  
და ხელში ჩაგრგდებ შენ!“<sup>1</sup>.

#### ბ ა მ მ ა ნ დ ო რ ა 16

იგივენი, კომანდორი, ფლორესი, ორტუ-  
ნიო, სიმბრანონი და გარისკაცები.

#### კომანდორი

შესდექით, ხალხო! ფეხი არავინ  
დასძრის აქედან!

#### ქ ე რ ა ხ უ ა ნ ი

ჩვენო სენორ!  
ჩვენ არ ვთამაშობთ, ჩვენ ქორწილი გვაქვს,  
მხოლოდ ამისთვის მოვედით აქა...  
მაგრამ რაკი თქვენ ბრძანებთ, ინებეთ...  
გაჩუმდთ, ხალხო! ჩვენი ბატონი  
ბრძოლის ველიდან დაბრუნებულა,  
ეტყობა, მტერზე გაუმარჯვნია  
და ეს ამბავი უნდა გვაუწყოს!

#### ფ რ თ ნ დ ო ზ ო

მე დავიღუბე!

<sup>1</sup> თარგმანი კ. მაყაშვილისა.

#### ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

გაიქეც ჩქარა!  
პო, თავს უშველე!

#### კომანდორი

დააპატიმრეთ!

#### ქ ე რ ა ხ უ ა ნ ი

დანებდი, შვილო! არ დაიღუპო  
თავი!

#### ფ რ თ ნ დ ო ზ ო

დავნებდე? გინდა რომ მომყლან?

#### ქ ე რ ა ხ უ ა ნ ი

რად უნდა მოგველან?

#### კომანდორი

მე უსამართლოდ  
არავისა ვკლავ! რომ მომებოდა,  
ვუბრძანებდი და გარისკაცები  
შენს შვილს აქვე, შენს თვალწინ აჩეხდნენ...  
ეს ვაჟაბატონი დილეგში ჩასვით!  
მის დანაშაულს მისივე მამა  
გამოიძიებს და განაჩენსაც  
ის გამოუტანს!

#### პ ა ს კ ვ ა ლ ა

ცოლს ირთავს დღესა!

#### კომანდორი

ამ საპატიო მოვალეობას  
სხვაც შეასრულებს — მამაკაცები  
ბევრია სოფლად!

### 3 ასკვალა

ო, აპატიეთ,  
თუ გაშუენინათ!

### კომანდორი

არ შემიძლია!  
თავისი ქცევით მან შეურაცხყო  
დიდი მაგისტრი კალატრავისა!

### ესტებანი

მოიცათ ერთ წამს! ჩემო სენიორ!  
სიმამრაც უნდა ჰქონდეს უფლება  
დაიცვას სიძე! ეს ახალგაზრდა  
არაფერშია დამნაშავე და  
რად აპატიმრებთ, ვერ გამოგია!  
ნუთუ იმისთვის, რომ ჩემს ქალიშვილს,  
თავის გულისსწორს გამოესარჩლა?  
აბა, რა ექნა? თქვენ ხომ, სენიორ,  
ცოლის წართმევა გინდოდათ მისთვის!

### კომანდორი

სად პყვდა ცოლი?

### ესტებანი

დანიშნულები  
ხომ იყვნენ, ერთი არ არის, განა?!

### კომანდორი

შენ სოფლის საბჭო რომ ჩაგაბარე,  
იმას მიხედვე, ალქალდო! შენი  
ვექილობა აქ არა გვჭირდება!

### ესტებანი

პირში ბურთისა მჩრით? არაფერრა,  
სამართლის გზას მაინც მოვნახავ!

კასტილიაში წავალ მეფესთან!  
ისაა ქვეყნის ბატონ-პატიონი  
და ის მოუღებს ბოლოს თქვენს ამგვარ  
თავგასულობას!

### კომანდორი

წაართვით კვერთხი!

### ესტებანი

წაიღეთ, მაინც ააში მარგია!

### კომანდორი

გადაგატეხავ თავზე!

### ესტებანი

დამკარით!  
თქვენგან აღარც ეს გამიკვირდება!  
(კომანდორი არტყამს კვერთხს)

### 3 ასკვალა

რას შვრები, რასა? ჭოხით სცემ მოხუცს!

### ლაურენსი

(ცცემა კომანდორს,  
ჩემს გამო უხდი სამაგიეროს,  
შე საჩიხლარო!

### კომანდორი (გლეხებს)

ხმა ჩაიწყვიტეთ! (ჯარისკაცებს)  
დაპატიმრეთ ესეც! ცალ-ცალე  
დილევში ჩასუით და მოუჩინეთ  
ათ-ათი კაცი თითოს მცველებად!  
თუ გაიპარნენ, დაგხოცავთ ყველას!

გადის, ჯარისკაცებს გაჰყავთ ლაურენსია და შებოჭი-  
ლი ფრთხოზეო.

## მოხადვა გასამა

### სრული პირველი

ხერტის (საერო საბჭოს) დარბაზი ფუნქციურ რეჟიმით  
გამოსაზღვრავთ

ესტებანი, ოლონჩი, ბარილი, თ,  
ქერა, ხუანი, მენდო და სოფლელები.

### ესტებანი

პატივცემულო თანამოძმენო!  
გულდაუთქული ცხარე ცრემლებით,  
მე გეითხებით: ტანჯულ ქვეყანას,  
პატივაყრილს და შეურაცხყოფილს,  
რომელიც დნება ჩვენს თვალწინ, როგორც  
სანთელი, — როდის დავასმარებით?  
ვის გაქვთ უფლება აწიოთ მისი  
კუბი, თქვათ სულის სახსენებელი,  
როცა ღირსება არ დაგვრჩა არცერთს  
შეურევნელი და შეულახველი!  
აბა, კაცი თუ მოიძებნება  
ამ ჩვენს ფუნქციე რვეხუნაში, —  
სასივდილოდ რომ არ გაეწიროს,  
არ გაეთელოს, არ ჩაეწილოს  
იმ ავსულს, იმ უხსენებელს, იმას!

როდემდე უნდა ვითმინოთ, ხალხნო?  
რაც ჩვენ დღეში ვართ, ამაზე უფრო  
უარესი ხომ აღარ მოხდება?  
რალას ვუყურებთ, რას ველოდებით?

### ალონი

სხვა გზა არ არი: აქედან უნდა  
ავიყაროთ და სხვაგან დავსახლდეთ!

### ქერა ხუანი

გიშვებენ, მერე?

### მენგო

ეს რომ ვაიგონ,  
სულ თავდაყირა ჩამოგვეიდებენ!

### ხუანი დორი

მაშ, რა ვქნა? ჩვენა ხომალდის ანძა  
გადატეხილა, საჭეც მოშლილა  
და უგზო-უკვლოდ, ზღვას მინდობილი,  
უფარულისაკენ მივექნებით!  
აი, შეხედეთ ესტებანი! ყოვლად  
პატივსაცემა მოხუცი გახლავთ, —  
უბარონოდ ხმას არ გასცემს არვინ, —  
მაგრამ — დანდეს? ქალი წაარვეს,  
ჭალარა თავზე ალკალდის კვერთხი  
გადამტერიეს და ახლა, მგონი,  
პატიმრობითაც ემუქრებიან!

### ქერა ხუანი

რა გვეშველება?

### ალონი

რა და, მტირვალი  
უნდა ჩაძალლდეს!

## ბარილდო

ბატონი მოვკლათ?  
რას ამბობ, კაცო, ხომ არ გაგუდი?

## ესტებანი

უფალის შეძლებ — დედამიწაზე  
ერთია ჩვენი ბატონი — მეფე!  
და თუ უფალი ჩვენს მხარეზეა,  
შიშს, ორჭოფობას რა უნდა ჩვენთან?

## მენგო

სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკივა!  
ეს საქმე უნდა ავწონ-დაეწონოთ,  
რომ არ ჩავვარდეთ უარეს დღეში!

## ქერა ხუანი

მეტი რა გინდა, შე დალოცვილო?  
ცოცხლად გვმარხავენ! ჩვენ სახლები  
გაძარცვულია და წაბილწული,  
ჩვენი ნაშრომი და ნაოფლარი  
სხვას მიაქვს... არა, შურისმიება!  
შურისძიება მხოლოდ! ჩვენ მეტი  
აღარაფერი არ დავვრჩენია!  
სისხლი სისხლის წილ! სიკვდილი მტარვალ!

## გამოსავლა 2

ივივენი და ლაურენსი — ნაგვემი, თბიგაჭეწილი

## ლაურენსი

მამაკაცებო! თუ შეიძლება  
თქვენს თავყრილობას დაესჭროს ქალი?  
სიტყვის უფლებას არ ვითხოვ, მე ხომ

დედაკაცი ვარ, სუსტი არსება,  
რა შემიძლია ტირილის მეტი?

## ესტებანი

ჰოი, ზეცაო! ლაურემსია?

## ქერა ხუანი

ვეღარ იცანი, შვილია შენი?

## ლაურენსი

გამოვიცვალე... არ ვგავარ იმას,  
რაც ვიყავ წინათ?

## ესტებანი

ვამე, შვილ!

## ლაურენსი

განუმდი! შვილი არა ვარ შენი!  
არ დამიძახო არასდროს ასე!

## ესტებანი

რა მოხდა? რატომ?

## ლაურენსი

ამის შიზეზი  
ბევრია... ბევრი... მაგრამ მთავარი  
ისაა, რომ შენ არ დამიცავი  
მოძალადისგან, საბედისწერო  
განსაკლელის ქამს არ მომეშველი  
და არ იძიე მტარვალზე შური!  
მე ჯერ არ ვიყავ ფრონდოზოს ცოლი,  
ქორწილის ლაზ ჯერ არა გვერდა  
გატარებული და ვით მშობელი,  
შენ ერთადერთი მოვალე იყავ  
დავეცვა ჩემი პატიოსნება!

შენ, შეილის პატრონს, და არა სიძეს,  
 გევალებოდა გეპატრონა და  
 გეზრუნა ჩემთვის! ასეა წესი!  
 ორცა მარგალიტს ყიდულობს კაცი  
 და მას ქურდები მოიპარავენ,  
 ვის ეკსარება პასუხისმგება,  
 თუ მარგალიტი მუშტარს ჯერ ხელში  
 არ იყოლია? — გამყიდველს მხოლოდ!  
 აქვე, თქვენს თვალწინ, ფერნან გომეცმა  
 ღმამალო ხელი და გამიტაცა  
 ისე, ვით ბატკანს წაიღებს მგელი,  
 თქვენ კი, დამფრთხალი მეტეარეები,  
 პირდაღებულნი უცქერით ამას  
 და ვერ გაბეჭდო ხმის მომლება!  
 რა არ გადამხდა?! რა დამცირება,  
 რა დაცინვა არ ვადავიტანე!  
 აი, ეს მკერდი, შექედეთ როვორ  
 დაჩქმეტილია და დაკაწული?  
 ან ეს ხელები ნახეთ, რომლოთაც  
 მოქნეულ ხანგალს ვიგერიებდნი?  
 რა სიბილშე და უნამუსობა,  
 რა უმსგავსობა ესმოდა ჩემს ყუჩს,  
 როცა ცდილობდა ის გარეწარი  
 ჩემი უმანკო ქალიშვილობით  
 ვამაძლარიყო, მოეკლა ჟინი!  
 ეს თმები ნახეთ, ნუთუ არაფერს  
 არ გეუბნებათ ეს გაწეწილი  
 თმები, ან კაბა შემოხეული?  
 ლაქებს თუ ხელავთ, ამ ჩალურჯებულ  
 ლაქებს? ან სისხლი... სისხლი თუ გახსოვთ,  
 რა ფერისაა?! პატიოსნებად  
 კი მოგავთ თავი, მაგრამ, მითხარით:  
 მამები არ ხართ? ძები არ ხართ?  
 გული არა გაქვთ?.. ნუთუ არ შეგრჩათ  
 ნათესაობის გრძნობა, ჭიგარი.  
 ან ნუთუ ჩემი ცოდვით არ გეწვით

ეგ მოელი თქვენი შიგნეულობა?!  
 არა, ვეთაყვა! თქვენ ხალხი არ ხართ!  
 ცხვრები ხართ! დიახ, ნამდვილი ცხვრები!  
 თქვენ ღირსეული მყვიდრნი ბრძანდებით  
 სოფლის, რომელსაც ცხვრის წყარო ჰქვია!..  
 თუმც, არა! ცხვრებმა რა დააშავეს?  
 ცხვარზე იტყვიან: „თუ გაცხარდაო“...  
 თქვენ კი — ქვები ხართ, უსულო ქვები!  
 პირალო კლდე ხართ! ჩეინა, ნადირნი...  
 ჩადირი? არა! ცეთილშობილი  
 ვეუბვი არავის შეარჩენს წყანას!  
 შეილ თუ წაართმევ, გაშმაგებული  
 დაგეძერებება და ან დაიხსნის  
 თავის ნაშეერს, ან თავს შეგაკლავს!  
 თქვენ კურდლები ხართ! დიახ, მშეშარა  
 კურდლები! თქვენში ესპანელობის  
 არაფრია ველურები ხართ!  
 სხვაშს გასართობად ასესხებთ ცოლებს  
 და ქალიშვილებს... რად გინდათ ხმლები?  
 თქვენ ხელში ჭარა უნდა გეჭიროთ!  
 ან თითისტარი!.. მე ისე ვიზამ,  
 რომ ჩვენ ქალები, უთქვენოდ, მარტო,  
 გამოვისყიდით ჩვენა სისუსტის  
 დანაშაულს თუ უბედურებას  
 და ქიოთ ჩავქოლავთ მოძალადეებს!  
 ქალაჩუნებო! დიაცები მხდალნო!  
 ნახევრად კაცნო, ნახევრად ქალნო!  
 დაცებრ უნდა რთავდეთ და ქსოვდეთ!  
 თქვენ უნდა გეცვათ ჩვენი კაბები,  
 ჩვენი მნიდილი გეტუროთ თვზე,  
 თქვენ უნდა იყოთ ნაზად, კოპწიად  
 მორჩულნი ჭრელი ხილაბანდებით,  
 ფერ-უმარილით იგლესდეთ სახეს  
 და ავდიოდეთ სუნამოს სუნი!..  
 ხვალ ჩემს ფრინდოზოს სიკვდილი ელის!

გარეშე, კოშკის მაღალ ქონგურზე  
ჩამოჰკიდებენ! ასე იწება  
ჩვენმა ბატონმა — ფერნან გომეცმა  
თქვენც ასეთივე ხვედრი გეწევათ  
სუყველას და ეს მახარებს კიდეც!  
მაღლობა უფალს, აღმოიფხვრება  
მოდგმა დიაცთა, ნახევარეცთა,  
რომელიც არცვენს და სახელს უტეხს  
აქაურობას!.. და ღმერთმა ქნას, რომ  
(რაკი კაცებმა აღარ ივარგეთ!)  
ქვეყნად კელავ აღდგეს დრო ამორძალთა  
ბატონიბისა — ყველა მტარვალთა,  
ყველა ლაშართა დასათრგუნავალ!

#### ეს ტებანი

ლაურენსია! მე მესმის შენი  
გულისწყრომა და სასოწარევეთა,  
მაგრამ ერთ წამსაც არ ვიცოცხლებდი,  
რომ დამეჯერა, თითქოს ამ სიტყვებს  
მე მეუბნები, მამაშენს!.. კმარა!  
მე მარტო წავალ! თვით ვაზღვევინებ  
კომანდოს ყველა უშსგავსოებას!

#### ქერა ხუანი

შეც შენთანა გარ! არ შევშინდები,  
თუნდაც მოელ ჭართან მომიხდეს ბრძოლა!

#### ალონზო

გავწყდეთ ყველანი, თუ საჭიროა!

#### ბარილდო

ტილოს ნაშერი ჭოხს გავოვაბათ, —  
ჩვენი საბრძოლო დროშა იქნება!

#### ქერა ხუანი

წინასწარ ვეგმა შევიმუშავოთ,  
რა ვქნათ და როგორ!

#### მენგო

რის გეგმა, კაცო!  
ხალხს დავუძხოთ და ყველამ ერთად  
შევფრიოთ და დავცხოთ წყეულებს!  
პირველ რიგში კი — ის უნდა მოვკლაო  
რალას ვაყოვნებთ?

#### ეს ტებანი

მაშ, აბა სწრაფად  
შეიარაღდით! ვისაც კი რა გაქვთ,  
მოჰკიდეთ ხელი — ხანჭლებს, ნაჯახებს,  
შურდულებს, შუბებს, ორკაპებს, კეტებს...

#### მენგო

მოძალადებს სიკვდილი!

#### ეს ტებანი

ამინ!

#### ყველანი

ამინ! სკვდილი მოძალადებს!

მამაკაცები გადიან.

#### ლაურენსი

გისმინოთ ზეცამ! (ფანჯარაში) ქალებო, აქეთ!  
აქეთ ყველანი! შენ ეი, პასვალა,  
ხასიათა, ლოლა! აქ მოდით ყველა!

### 81838383 3

3 ასკვალა, ხასინტა და სხვა დედავიცები.

### პასკვალა

რა ამბავია, რად გვეძიოდი?

### ლაურენსია

აგრ, შეხედეთ: იქ მირბის ყველა, ფერნან გომეცის სასახლისაკენ,

მის მოსაყლავად, ავაზაების

დასაჩევად და ამოსაწყვეტად!

გელხელდაკრეფით ვუყუროთ ამას?

კაცებს დავუთმოთ ეს სასახელო

საჭმე? განა ჩეენ მათზე ნაკლები

გადაგვედენია დამცირება და

შეურაცხყოფა?

### ხასინტა

გვითხარი, რა ვქნათ?

### ლაურენსია

დავირაზმოთ და თავზე დავესხათ!

შევქმნათ ქალების საბრძოლო რაზი —

უმაგალითო, გერ არნაზული!

მაგათი გაფრი ყველას გვჭირს, მაგრამ,

ხასინტა, მგნი, შენა ხარ უფრო

დამცირებული, შეგინებული...

შენ უნდა იყო რაზმის უფროსი!

### ხასინტა

შენც არანაულებ გაწვალეს!

### ლაურენსია

შენ კი,

ჩემო პასკვალა, ჩეენს ალამს განდობ!

### პასკვალა

წევალ ახლავე, გავმართავ დროშას.

სარს მივაჭედებ მაუდის ნაჭერს, —

ნახავ, რა კოხტა არმე გამოვა!

### ლაურენსია

დრო აღარას! მოდით, ქალებო,

ჩეენი მანდილი ავაფრალოთ, —

ეს იყოს ჩეენი საბრძოლო დროშა!

### პასკვალა

აზლა ბელადიც ამოვირჩიოთ!

### ლაურენსია

არ გვინდა.

### პასკვალა

რატომ?

### ხასინტა

გაჩუმდი, ქალო!

ეგაა თვითონ ჩეენი ბელადი!

### უველანი

აბა, გაგვიძებ, ლაურენსია!

უვლანი გადიან.

### სურათი გაორა

დარბაზი კომანდორის სასახლეში.

### 81838383 1

კოშინ დორი, ფლორესი, ორტუნიო,  
სიმბრანოსი და ფრონდოზო ხელებგაერული.

### კოშინ დორი

კოშინ ქონგურზე დაკიდეთ მაღლა,  
ისე, რომ ჩანდეს ყოველი მხრიდან!

### ფრთდოზო

თავს რატომ ირცხენო, სენიორ, ან თქვენის  
გვარს რად აყენებთ შეუჩაცხოფას?!

### კომანდორი

დე, მაგალითი გახდეს სხვებისთვის  
ამ მეამბოხის მეაცრი სასჭელი!

### ფრთდოზო

არ ვაპირებდი თქვენს მოკვლას, თუმცა  
შემეძლო...

სცენის უკან ხმაური და შეძახილები.

### ფლორესი

რაღაც ხმაური მესმის...  
მგონი, ჭიშკარზე არახუნებენ!

### კომანდორი

ვინ თავხელია? გახედე ერთი!

### ფლორესი

სენიორ! მისი გასამართლება  
უნდა შევწყვიტოთ!

### ორტუნი

ჭიშკარს ამტვრევენ!  
მთელი სოფელი აქ შექრებილა!

### კომანდორი

ხომ არ გაგიყდენ?

### ორტუნი

არა, სენიორ,  
აჯანყებას ჰგავს ეს ყველაფერი!

### გამოსვლა 2

იგივენი, მენეგო და ქირა ხუანი სცენის უკან.

ჭერა ხუანი (სცენის უკან)

მიდი, ბიჭებო! აბა, ბე! ერთიც,  
ერთიც მივაწვეთ! სუსველა ერთად!

მენეგო (სცენის უკან)

ფრჩხი მოიტათ! ამს თუ ცაცხლი  
არ წაუკიდეთ, ვერ შევალო შიგნით!

### ორტუნი

ამხედრებულა ხალხი, სენიორ,  
სულ დალეწავენ აქაურობას!

### კომანდორი

ჩემს წინააღმდეგი ხალხი?

### ფლორესი

შექედეთ,  
ჭიშკარი უკვე შემოამტვრდეს! (ისმის ჭახანი)

### კომანდორი

სხვა გზა არ არი, ეს კაცი უნდა  
გავუშვათ!... (ფრთნდოზო) წადი, დააშოშეინე  
ბრძო უგუნური! გაიგე, რა სურთ!

### ფრთდოზო

ჩემს სანახავად მოვიდნენ.

### კომანდორი

გასწი! (ფრთნდოზო გადის)

### მენგო (სცენის უკან)

ძირს კომანდორი! სიკვდილი მტიარვალს!

ფლორესი

ჩემო ხენიორ! რომ დაიმალოთ,  
აჯობებს მგონი.

კომანდორი

შენ ფიქრი ნუ გაქვს!  
მყარია ჩემი სახლის კედლები,  
იყვირებენ და მოგვეშვებიან!

ფლორესი

ხალხის ამბავი არ იცით, — სანამ  
სისხლს არ დალვრიან, არ წავლენ არსად!

კომანდორი

მაშინ მე თვითონ გავალ გარეთ და  
ნახავ, სულ კუდით ქვას ვასროლინებ!

ფრონდოზო (სცენის უკან)

ვაშა ფუენტე ოვეხუნელებს!

კომანდორი

შენ ხედავ, ვინა ჰყოლიათ სარდლად?  
ახლა გავიგებ, რის მაქნისია!

ფლორესი

ალტაცებას მგვრის, ხენიორ, თქვენი  
ვაჟკაცობა და შეუპოვრობა!

### ჩამოსალა 3

იგიენი, ესტებანი, ფრონდოზო, ქერა ხუ-  
ანი, მენგო, ბარი ლდო და გლეხები ნაირ-ნაირ  
პრიმიტიული იარალით ხელში შემოცევდებიან დარ-  
ბაზში.

ესტებანი

აქა ყოფილა სულთამხუთავი!  
მისი დამქაშნიც აქ ბრძანდებიან!  
სიკვდილი მაგათ! ფუენტე ოვეხუნა!

კომანდორი

მისმინეთ, ხალხო!

ყველანი

არ გვსურს მოსმენა!

კომანდორი

გამავებინეთ, რა დავაშავე?  
ოუ გაშუენინეთ ვინმეს, მზადა ვარ  
გამოვისყიდო დანაშაული!

ყველანი

სიკვდილი ჭალათ! სიკვდილი ქურდებს!  
გაუმარჯოს ფუენტე ოვეხუნას!

კომანდორი

არ გსურთ მისმენაზ მაშინ გიბრძანებთ  
მე — კომანდორი ფერნან გომეცი;  
სენიორი და ბატონი თქვენი!

ყველანი

ჩვენი ბატონი მეფეა მხოლოდ!  
ჩვენ მხოლოდ მეფეს ვემორჩილებით!

კომანდორი

შეჩერდით, ხალხო!

ყველანი

დაპკარი, მიდი!

გაუმარჯოს ფუქრტე ღვეზუნის!

იბრძეით, კომანდორი და მისი მხლებლები უკან იხვევნ  
და გაფან. ხალხი დაედევნება.

გამოსავათ 4

ლაურენსია, პასკვალი, ხასინტი და სხვა  
ქალები იარალით ხელში. იგივენი — სცენის უკან.

ლაურენსია

გამა, ქალებო! ჩევენი მიზანი

ახლოა, კიდევ ერთი შეტევაც

და გავიმარჯვებთ!

ხასინტი

დიდი ხანია

მწყუროდა მისი სისხლის დალევა, —  
ახლა კი, მგონი, მოვიკლავ წყურვილს!

პასკვალი

ხიშტიე ავაგოთ! მარგილზე დავსვათ!

ეს ტებანი (სცენის უკან)

ესეც შენ, მხეცო და ავაზაკო!  
ჩაძალლი!

კომანდორი (სცენის უკან)

ვევდები!.. მიშველე, ღმერთო!

ბარილდო (სცენის უკან)

იგერ ფლორესი!

მენგო (სცენის უკან)

დაცხე მაგასაც!

ვგ იცო, იმ დღეს მითრის რომ მცემდა

ფრთნდოზო (სცენის უკან)

ჭერ კიდევ სუნთქავს! გამიშვით, სანამ  
სცლა არ ამოვხდი, ვერ მოვისვენებ!

ბარილდო (სცენის უკან)

თწვენ სიკვდილი გაქვთ ყველას მისჯილი,  
გრძლა ვერ მომილბობთ ცრემლებით, ვერა!

ლაურენსია

იქან, ქალებო, სადაც ბრძოლაა!

არ შეიძლება ეს ხმალი ასე

უქმად დარჩეს და არ გაისარჯონ! (გარბის  
სცენის უკან)

ბარილდო (სცენის უკან)

ორტენიოც არ გაუშვათ, ხალხნ!

ფრთნდოზო (სცენის უკან)

რაღას უყურებ, დაარტყი ჩქარა!

გამოსავათ 5

შემორბიან ფლორესი, რომელსაც მოსდევს მენ-  
გო, პასკვილი, ხასინტი და სხვა ქალები,  
შემდევ ლაურენსია და ორტუნიო.

ფლორესი

ნუ მომყლავ, მენგო, რა დაგიშავე?

მენგო

მაჭანკალიც რომ არ ყოფილიყავ,  
შენ არ იყავი, მაშინ რომ მცემდი?

პასკვალა

არ მოკლა, მენგო, ეგ ჩვენ დაგვითმე!  
ქალებთან აგოს მაგან პასუხი!

მენგო

სიამოვნებით! ამაზე უფრო  
საშინელ სასჯელს ვერც მოვიფიქრებ!

პასკვალა

შემს ჯავრსაც ჩვენ ამოვიყრით!

მენგო

კარგი.

ხასინტა

ჩაძალლდა, გველო! (დანას ჩაარტყაშ)

ფლორესი

ვაი, სირტვილო!

ქალის ხელითა ცვდები!

ხასინტა

დიახაც,  
მადლობა გეოქმის, რომ ამნაირი  
პატივი გერგო!

პასკვალა

უყურე ამას,  
დედაკაცის ხელს თაკილობს კიდეც!

ხასინტა

ალარ თავდები, შე იჯახქორო?

პასკვალა

ესეც შენ, შე მაჭანკალო, შენა! (გოხს ურტყაშ)

ფლორესი

ვაიშე, მომელები... (კვდება)

შემირჩის ორტუნიო, რომელსაც მოსდევს ლაურენსია.

ორტუნიო

ღმერთს გეფიცები,  
მე არ ვყოფილვარ...

ლაურენსიო

რა შვილიცა ხარ,  
ვიცი! ჩაძალლდი! (კლავს) აბა, ქალებო,  
მომყევით! უკან დასხევი გზა  
არა გვაქვს, ორში ერთია მხოლოდ —  
ან უნდა მოვკვდეთ, ან გავიმარჯვოთ!  
ჩვენ შეიძლება გავწიდეთ ყველანი,  
ძაგრამ მონები აღარ ვიქნებით!

შველანი

ვაშა ცხვრის წყაროს! ფუენტე ოვეხუნა!  
ყველანი გადიან.

სურათი გასამა

შეედანი ფუენტე ოვეხუნაში.

გამოსაცლა

ესტებანი, ფრონდოზო, ბარილ დო, ალოზო,  
მენგო, ლაურენსიო, პასკვალა, ხა-  
სინტა და სხვა გლეხები — კაცები და ქლები. შე-  
მოაქეთ შუბის წვერზე წამოცმული კომანდორის თავი.

ბარილ დო

ძმებო და დებო! ჩვენს გამარჯვებას  
ერთი სიმლერა ეკუთვნის ალბათ!  
აბა, ფრონდოზო, შენ წამოიწყე!

### ფ რ ა ნ დ ო ზ ო

მე რა მელექშე მნახე? სიმღერის  
ოსტატი შენ ხარ!

### ლ ა უ რ ე ნ ს ი ა

მართლა, ბარილდო,  
თქვი რამე!

### ბ ა რ ი ლ დ ო

კარგი, მაშ მომისმინეთ (მღერის)  
„დიღება გლეხკაცს,  
მამულზე მზრუნავს,  
მის ნათელ ჭყუას,  
მის შრომის უნარს!  
მის სინდის-ნამუსს  
და შემართებას,—  
გუმღეროთ, ძმებო,  
ქებათა-ქება!  
მრავალუამიერ,  
მრავალუამიერ,  
შშრომელი კაცის  
მარჯვენას ძლიერს!“

### მ ე მ უ ს ი კ ე ნ ი ღ ა ს ხ ე ბ ი ღ

„მრავალუამიერ, მრავალუამიერ,  
შშრომელი კაცის მარჯვენას ძლიერს!“

### ლ ა უ რ ე ნ ს ი ა (შენგოს)

შენც ხომ გვიმღერებ, მენვო?

### მ ე ნ გ ო

ხომ იცი,  
მე ცოტა შწარე სიტყვები მიყვარს!

### პ ა ს კ ვ ა ლ ა

გამწარებულ კაცს რა გეთქმის მეტი?

### მ ე ნ გ ო

ერთხელ ამ ჩვენს უკრნან გომეცს,

შებზე როა წამოცმული,

ულრან ტყეში შევეყარე,

სასეირნოდ გამოსული.

ერთ ქალიშვილს უპირებდა.

შერცხვენას და გაფუჭებას,—

სამნი იყვნენ... აბა, როგორ

გაბედავდა გაურჩებას?!

შევეცადე გოგოსათვის

ამეცლინა ფათერაკი

და ამისთვის მათრახებით

ამიჭრელეს მთელი... ზურგი! (ხარხარი)

რას იცინით, რომ იცინით?

არის ქვეყნად სამართალი:

ჩემი... ზურგის გადამკიდემ,

გაიფუჭა კაცმა თავი! (ხარხარი, ტაში)

### გ ა მ ი ს ა დ ა 2

იგივენი და ქ ე რ ა ხ ლ ა ნ ი, რომელსაც შემოაჭეს  
ფარი სამეფო გერბის გამოსახულებით.

### ე ს ტ ე ბ ა ნ ი

ხალხნო! ეს ფარი სამეფო გერბით

აქ ჩამოვკიდოთ, ამ კარის თავზე,

სადაც ჩვენ კრებებს ვატარებთ ხოლმე!

### ბ ა რ ი ლ დ ო

რა დიღებული ფარია!

### ა ლ ო ნ ზ ო

#### ახლა

ჩვენი მფარველი ეგაა მხოლოდ!

### ესტებანი

ძმებო და დებო! ყური დაუგდეთ,  
რას გეტუვით ახლა თქვენი ალკალი,  
ყაცი, პომელიც თქვენს სამსახურში  
გაჭალაზედა და თქვენს მეტი  
გამოცდილება ძქვი... კასტილის  
ხელისუფალნ არ დატოვებენ  
ასე ამ საქმეს, გამოივლევენ,  
იქნებ სოფელში დამსჯელი რაზმიც  
ჩამოაყენონ... მე იმას ვამბობ,  
რომ დაგვკითხავენ უთუოდ ყველას!  
მოღი, შევთანხმდეთ: რაც უნდა მოხდეს,  
რა გასჭიროც არ უნდა გვადგეს,  
სუსველამ ერთი შევიქრათ პირი  
და ერთიანიად მოვიწცეთ ყველა!

### ფრონდოზო

მაინც, რას გვიჩჩივ?

### ესტებანი

როცა გვეითხვენ:  
ვინაა ფერნან გომეცის მკვლელი? —  
ვუთხრათ, ფუენტე ოვეხუნა-თქო!  
ამაზე ვიდგეთ შეურწეველად  
და არ გადავთქვათ ჩვენი ნათქვამი!

### ფრონდოზო

სწორია! მართლაც ეგრე არ იყო?  
არც შენ მოგიკლავს, არც მე, არც იმას, —  
ერთი კაცივით ალესდექით ყველა!  
ყველამ მოვკალით! მაშასაღამე,  
მკვლელიც — ფუენტე ოვეხუნა!

### ესტებანი

და ამას იტყვის მთელი სოფელი?

### ყველანი

ცხადია, იტყვის! იტყვის, აბა რა?!

### ესტებანი

მაშინ მოდით და გავივარჯიშოთ.  
რაზეც შევთანხმდით... დავუშვათ ერთ წამს,  
მე — ჩამოსული მოსამართლე ვარ  
და სათითაოდ უნდა დაგითხოთ.  
შემოიყვანეთ ჩემთან... აი, თუნდაც  
შენ — ზენგო!

### მენგო

კაცო, რა გინდა ჩემგან?  
სხვა ველარ ნახე?!

### ბარილდო

შე დალოცვილო,  
ხუმრობს! აკი თქვა: ვარჯიშიაო?!

### მენგო

პო, კარგი, მკითხე!

### ესტებანი

მე გვეითხებით:  
ვინაა ფერნან გომეცის მკვლელი?

### მენგო

ფუენტე ოვეხუნა!

### ესტებანი

ძალლო, გაწამებ!

### მენგო

არ მეშინია! რომ მომკლა კილეცი  
გავიმეორებ: ფუენტე ოვეხუნა!

ურა და ვეგა

ესტებანი

მათრახი მაგას! იტყვი სიმართლეს?

მენგო

გაჩერდით, ვიტყვი!

ესტებანი

მე გვითხებით,  
ვინაა ფერნან გომეცის მევლელი?

მენგო

ფუერტე ოვეხუნა!

ესტებანი

დაპკარით! უფრო მაგრა დაპკარით!

მენგო

მირტყან! მათრახის არ მეშინა!

ესტებანი

ხედავთ? ასე თუ მოიქცა ყველა,  
ჩვენთან ვერაფერს ვერ გახდებიან!

გ ა მ რ ს 3 ლ ა 3

ივაენი და გლეხი.

გლეხი

თამაშობთ, ხალხო? რა დროს ეგაა!

ფრთნდოზო

რა ამბავია, თქვი ჩქარი?

გლეხი

რა და  
ჩამოგვიღნენ!

ფრთნდოზო

ვინა?

გლეხი

ვინა და  
მოსამართლე და იმასთან ერთად  
კაპიტანი და ჭარისკაცები!  
ყველას იჭერენ!

ესტებანი

ახლავე წადით  
თქვენ თქვენს სახლებში! არ დაგავიწყებენ  
ჩვენი პირობა! ნუ შეშინდებით  
და ყველაფერი რიგზე იქნება!  
მენგო! ვინ მოკლა ფერნან გომეცა?

მენგო

ფუერტე ოვეხუნამ!

გ 3 ე ლ ა ნ ი

ფუერტე ოვეხუნამ!

ს უ რ ა თ ი გ ვ რ თ ხ ი

გ ა მ რ ს 3 ლ ა 1

იგივე მოედანი ფუერტე ოვეხუნამი. ლაურენცისი,  
შემდეგ ფრთნდოზო.

ლაურენცი

ოპ, რა ძნელია გიყვარდეს ვინმე,  
თავდავიწყებით, გაგიჯებამდე

და არ იცოდე რით დაქმარო,  
როლესაც იგი განსაცლელშია!  
გაურკვევლობა და შიში! შიში—  
ესაა ჩომ მკლავს და მაჩანაგებს!  
საღ უნდა იყოს ჩემი მეუღლე?  
იქნებ ტკეშია და იმალება,  
იქნებ სოფლილან გადაიხევეწა?  
მოსამართლე მას დაეძებს, ირგვლივ  
გარისეაცები დაძრწიან... ლმერთო!  
ამაზე ფიქრი ჭკუილან შეშლის!

ფრთხოების (შემოდის)

ლაურენსია!

ლაურენსია

ფრთხოები — შენა?  
როგორ გაბედე მოსვლა?

ფრთხოები

მარტო ხომ  
ვერ დაგროვებდი!

ლაურენსია

განა არ იცი,  
თუ დაგიჭირეს, რა გელოდება?!

ფრთხოები

სადაც შენა ხარ — მეც იქ ვიქნები!

ლაურენსია

ღვთის გულისათვის... ჩემო ფრთხოები,  
გემუღარები, გაიქეც ჩქარა!  
შენ გენაცვალოს ლაურენსია,  
არ დაიღუპო თავი, ხომ იცი,  
უშენოდ ერთ წუთს ოდარ ვიცოცხლებ!

სოფელში ყველა დააპატიმრეს,  
მესამე დღეა დაკითხვა მიღის  
საშინელი და დაუნდობელი!  
ვერ წარმოიდგენ, რას უშვრებიან:  
თვალებსა სთხრიან, ფრჩხილებს აძრობენ...  
გაიქეც-მეოქი, რაღას უდგახარ?

ფრთხოები

მე შენ მაკვირვებ, ლაურენსია.  
აბა, რას მირჩევ, დაფიქრდი თვითონ?  
გავიქცე? თავი გადავიზინო?  
დავტოვო ბრძოლის ეს ასპარეზი  
მაშინ, როდესაც ჩემს ამხანაგებს  
გარდაუგალი სიკედილი ელის?!

ნუთუ ეგეთი ურცხვი გვინივარ.

ეგეთი მხდალი და სულმდაბალი?

უგნურებაა, რასაც შენ ამბობ!

საკუთარ თავზე ლიჩრული ზრუნვა,

ლმერთმანი, შენს ქმარს არ ეკადრება!

კვენის ხმა სცენის უკან

გესმის? ვიღაცა კვნესის... მოდი აქ,

კედელთან დავდგეთ, დავუგდოთ ცური.

გამოსვლა 2

ფრთხოები, ლაურენსია — სცენაზე არიან.  
გვერდოთ, სამყრობელები — მოსამართლე, ეს-  
ტებანი, ბიჭი, პასკვალა, მენგო და სხვები.

მოსამართლე

თქვი, ბერივაცო! მხოლოდ სიმართლი!

ფრთხოები

მამაშენია, მგონი...

### ლაურენსია

ო, ღმერთო,  
რა სიმხეცვა!

### უსტებანი

ვიმე!... წყალი...

### მოსამართლე

ვინაა ფერნან გომეცის შევლელი?

### ესტებანი

ფუენტე ღვეხუნა!

### ლაურენსია

შენი ჭირიმე!

### ფრანდოზო

ყოჩაღ, მოხუცო!

### მოსამართლე

ეი, ჯალათო!

იმ ბავშვს მოჰკიდე ხელი! მოიცა,  
ჯერ არა.. აბა, ჩემო ბიჭუნი,  
მითხარი ახლა: რა იყო? როგორ?  
შენ იქ იყავი და ყველაფერი  
გეცოდინება.. ვინ მოქლა? გესმის,  
ვინ მოქლა-მეთქი? სდუმხარ? ჯალათო,  
შეუფუცხუნე ერთი გემოზე!  
ნუ ვეცოდება, მოუჭი მაგრად!

### ბიჭი

ვიმე, დედა!

### მოსამართლე

შე ძღლიშვილო,  
იტუკა თუ არა?

### ბიჭი

ჰო, ვიტყვი, ვიტყვი!

### მოსამართლე

ვინ მოქლა თქვენი ბატონი? ვინა?

### ბიჭი

ფუენტე ღვეხუნამ!

### მოსამართლე

ქაჯებო! ჩემთან ეგ არ გაგივათ!  
ჩემივე ხელით დაგაქრჩობთ ყველას  
და დაშინვავეს ვიპოვი მაინც!

### ფრანდოზო

უყურე, ბავშვიც არ შეიცოდეს!

### ლაურენსია

ვერ გამოტეხეს!

### ფრანდოზო

გმირია, გმირი!

### მოსამართლე

ქალი მოიყვათ ახლა! ჯალათო,  
მუხრუჭი მაგას! მაგრად მოუჭი!  
ბოლომდე, სულმთლად შემოაბრუნე!  
ეპრე!

### ლაურენსია

გაგიედა სიბრაზისაგან!

### მოსამართლე

გაგველეტო! გაგაქრობთ, არამზადებო!  
ძვლებს დაგინაყავთ!.. მოუჭი მაგრად!  
ვინ მოქლა ფერნან გომეცი, ვინა?

პასკვალა

ეყი, გითხარით: ფუენტე ოვეხუნამ!

მოსამართლე

უმატე! კიდევ უფრო უმატე!

ლაურენსია

ეს პასკვალაა!

ფრონდოზო

ტუფილად ცდილობს,  
ვერ გამოტეხს!

მოსამართლე

დამბლა დაგეცა,  
შე ვირიშვილო? მოუჭი მაგრაც!  
ვინ მოკლა-მეთქი, შენ გეკითხები?

პასკვალა

ფუენტე ოვეხუნამ!

მოსამართლე

ჯანდაბას მაგის თავი და ტანი!  
ის ვაებატონი მომგვარეთ ახლა,  
რუმბივით როა გასიებული!

ლაურენსია

საწყალი მენგო!

ფრონდოზო

მენგოს იმედი,  
სიმართლე გითხა, არა მაქებ!

მენგო

ვაი!

მოსამართლე

აბა, დაიწყე!

მენგო

ვაიმე, დედა!

მოსამართლე

ჯანიანი ხარ, გეტყობა! ვნახოთ,  
რამდენს გაუძლებ?

მენგო

ვაიმე! ვაი!

მოსამართლე

გეტყინა? აბა, დამისახელე  
ვინაა მყვლელი?

მენგო

ვაიმე, მტკივა!

გეტყვით, სენიორ, ყველაფერს გეტყვით!

მოსამართლე

კიდევ მოუჭი!

ფრონდოზოზო

გაგვცემს, მგონია!

მოსამართლე

გადაუგრისე ხელები!

მენგო

ვაი!

ვამიშვით, მეტი არ შემიძლია!

მოსამართლე

ვინ მოკლა, იტყვი?

მენგო

ენ?

მოსამართლე

კომანდორი!

მენგო

იმან... ფუნქციების უნიტერმა!

მოსამართლე

დაწყევლის ღმერთმა! ჩემს სიცოცხლეში  
პირველად ვხედავ ამნაირ გუცებს!  
ან არა სტკივათ, ან დავიჯერო —  
სიკვდილის როგორ არ ეშინათ?!

შენ მათ აწამებ, ესენი კიდევ  
ლაზლანდარობენ!.. გაუშვით ყველა!  
გაულეთ კარი და სულ კინწისებრით  
გაყარეთ გარეთ!.. შე დავიღალე!

ფრთი დოზო

ლაურენსია! მოღა, გაყოცო!  
მორჩა! ვათავდა! ჩვენ გავიმარჯვეთ!

გამოსვლა ვ

ურონდოზო, ლაურენსია, შემოდიან ბა-  
რი დო, ალონზო და შემოყვავთ მენგო.

ბარი დო

ყოჩალ შენ, მენგო!

ალონზო

შენ აგაშენა  
ღმერთმა!

ბარი დო

ფულე, რა მაგარია!

ფრთი დოზო

მენგო, ძმობილო! (ვადაეხვევა)

მენგო

ვაიმე, ნელა!

ბარი დო

ვალაჟარ, ძმაო, ეს მოგიხდება!

მენგო

რა არა?

ბარი დო

სანთლის არაყი, ბიჭი  
ორნაზალა!

მენგო

ვაიმე, ვაი!

ფრთი დოზო

კარგაზ გაუგსეთ, ნუ გენანებათ!

მენგო (სვამი)

უკ, რა კარგია!

ფრთი დოზო

აპა, შენ, პურიც!

მენგო

არ მინდა... ერთიც დასხი... ვაი!

ბარი დო

საღლეგრძელო თქვი, ხომ არ დამუნჯდი?

ფრონდოზო  
 დაკითხვაზე რომ ხმის არ იღებდა,  
 შეონი, ლაპარაკს გადაეჩვია!  
 შენგო  
 ერთიც...  
 ლაურენსია  
     ჭიქა არ გადაგდეს ყელში!  
 ბარილდო  
 კიდევ დაგისხა?  
 შენგო  
     ვაი, დედიკო!  
 ღასხია!  
 ბარილდო  
     აპა! შეგერგოს, ძმაო!  
 ლაურენსია  
 რას შერებით? თან დააყოლოს რამე!  
 ვის გაუგია ეგრე არყის სმა?!  
 ბარილდო  
     გაჩერდი, ქალო! თავისი საქმე  
 ოვითონვე იცის!  
 ფრონდოზო  
     გადაპქრას კიდე!

შენგო (ცხვირს დააცემინებს)  
 ცოტა ნიავმა წამოუბერა...  
 ერთიც დამისით, გაუცივდი მიგონი...

ფრონდოზო  
 ის როგორ იყო, მენგო? ვინ მოკლა?  
 შენგო  
 ვან?  
 ფრონდოზო  
     კომანდორი.  
 შენგო  
     აჲ, კომანდორი?  
 იმან... ფუენტე ოვეხუნელმა!  
 ბარილდო, ალონზო და მეწო გავლენ.  
 გამოსვა 4  
 ლაურენსია და ფრონდოზო  
 ფრონდოზო  
     მაშ ასე... იქნებ შენ მაინც მითხრა,  
     შენ გეუბნები, ჩემთ ძვირფასო,—  
     ვინაა ფერნან გომეცის მჯვლელი?  
 ლაურენსია  
     ვინ და — ფუენტე ოვეხუნელი!  
 ხომ გაიგონე?  
 ფრონდოზო (მრისხანე ხმით)  
     შე ხუმრობისთვის  
     არა მცალია! შენ გეკითხები:  
     ვინაა ფერნან გომეცის მჯვლელი?  
 ლაურენსია  
     ოჲ, ქარგი ერთი, ნუ შემაშინე!  
     მშვენივრად იცი, ვინცაა!  
 ფრონდოზო  
     მაინც?

ლაურენსია

ვინ და — ფუენტე ოვეხუნაა!

ფრთხონდოზო

შენ შემოგევლე! მე კი, მე თვითონ,  
მე რით მოგაალი შენ?

ლაურენსია

სიყვარულით!

ფრთხონდოზო (კულისებისკენ)

თქენ გეეითხებით, თანამომმენი;  
ვინაა მკვლელი კომანდორისა?

შ ვ ლ ა ნ ი (კულისებიდან, ერთხმად)

ფუენტე ოვეხუნა!

შექი ქრება.

ს უ რ ა თ ი მ ა ხ უ თ ი

მეცენა საცხოვრებელი მედინა-დელ-კამპიში მეცენა-  
დედოფალი, დონ მანრიკე, შემდეგ კაპი-

ტანი

მეცენა! ფუენტე ოვეხუნადან  
დამსჯელი რაზმის კაპიტანია.  
თქვენი ნახვა სურს.

მ ე ც ე

სოხოვკი.

კ ა პ ი ტ ა ნ ი

მეფე!

განკარგულების თქვენის თანახმად  
გამოვიძიეთ ფერნან გომეცის  
მკვლელობის საქმე... სამასზე მეტი  
კაცი დავკითხეთ და ყველას მიმართ

100.

აც კი არსებობს  
ას საშუალება...

ოკლედ მითხარი: იპოვეთ მკვლელი?

კ ა პ ი ტ ა ნ ი

არა, მეფე! რა არ ვიღონეთ!  
ათი წლის ბავშვებს თითებს გუმტვრევდით  
და მდუღარე წყალს ვასხამდით თავზე,  
მაგრამ ვერ გავხდით ვერაფერს! მათთან  
ვერც დაყვავებამ და ვერც მუქარამ  
ვერ გაჭრა! ყველამ პირი შეიკრა  
და ჩვენს კითხვაზე: „ვინაა მკვლელი?“  
გვიპასუხებდნენ ერთხმად: „ფუენტე  
ოვეხუნაო!“... ასეთი კერძი  
ხალხის მნახველი არა ვარ, მეფი!

ორში ერთია: ან უნდა ყვილა  
გავწყვიტოთ, ანდა სუყველას ერთად  
შევუნდოთ მათი დანაშაული!

მ ე ც ე

დაზოცეთ ყველა!

დ ე დ ი ც ე ლ ი

მეცენ-ბატონო!  
ნუ აჩქარდებიო, ქვეყნის გმიგებელს  
თავდაჭერა და სიფრთხილე გმიროები!

მ ე ც ე

ო, იზაბელა! თქვენ მე მაკვირვებთ!  
ერთი თვეში წინათ აქ, ამ დარბაზში,

111

თქვენ გამედული მოქმედ  
მომიწოდებდით!

დ ე დ ო ფ ა ლ ო

მხოლოდ და მხოლოდ  
გარეშე მტრებთან ბრძოლაში, მეცევ!  
თქვენი მახვილის წვერი სამეფოს  
საზღვრების იქით უნდა მიმართოთ!  
შინ კი — წესრიგის დასამყარებლად  
ორი რამაა საჭირო მხოლოდ:  
მწარე მათრახი და ტკბილი კვერი!  
გაურჩებას რომ გაბეღავს ვინმე,  
მათრახი უნდა გადაუჭიროთ,  
თან ნამეტანი რომ არ გაბრაზდეს,  
იმავე წუთას დალებულ პირში  
ტკბილი ნამცხვარი უნდა ჩასჩაროთ!..  
ეს ყველაფერი ჩემზე უკეთ თქვენ  
მოგეხსენებათ! საწყალ კომანდორს,  
როგორც ეტყობა, მეტი მოსვლია...  
თუ დამიჯერებთ, მე ასე ვირჩევთ:  
ნუ აიმხელრებთ გმწარებულ ხალხს, —  
მით უფრო ახლა, როცა სამეფოს  
გარეშე მტრებთან აპირებთ ბრძოლას...  
დასჭერდით იმას, რომ სასამართლომ  
ბოროტმოქმედის კვალს უერ მიაგნო  
და როცა ხალხი დაშოშმინდება,  
სხვა კომანდორი გაგზავნეთ მათთან  
უფრო წყნარი და უფრო ჭკვიანი!

მ ე ფ ე  
თქვენ მართალი ზართ! ახლა ის დროა,  
ხალხს ტკბილი კვერი ჩაეჩიროთ პირში!